# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 17 დეკემბერი 1996 №134 (359) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალიას ჩეზარე ჩამოგვიყვანს



ის, რაც წინასწარ იყო ცნობილი, ახლა ბეჭედდასმული სინამდვილე გახდა. 14 დეკემბერს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს სერია A და B ლიგების ყოფილი ხელმძღვანელი, 63 წლის ლუჩანო ნიცოლა. რომის სასტუმროში გამართულ ყრილობაზე ზემოხსნებული თანამდებობის დასაკავებლად ერთადერთი, მისი კანდიდატურა დაასახელეს და თუკი ზაფხულზე, ანტონიო მატერეზეს გადადგომის შემდეგ, ფეხბურთის მმართველის სკამისთვის დიდი და უშედეგო ბრძოლა გაიმართა, ახლა ყველაფერმა ფორმალურადღა ჩაიარა. ფაქტია, ნიცოლა უკვე ასრულებდა იმ მოვალეობას, რომელიც ქაღალდზე ახლა ერგო.

ნიცოლას არჩევა-არარჩევის საქმე ასე საინტერესო და თავისებური კი იმიტომ გახდა, რომ მას ავტომატურად თან სდევდა ქვეყნის ეროვნული გუნდის მწვრთნელის დანიშვნის საკითხი. მართლაც, ნიცოლას პრეზიდენტად დამტკიცება და „სკუადრა ადურას" თავკაცის დანიშვნა ერთი გამოდგა. როგორც მოსალოდნელი იყო, ნაკრების მწვრთნელის პოსტზე არიგო საკის შემცვლელი გახდა 64 წლის ჩეზარე მალდინი, აქამდე 21 წლიანთა გუნდის ხელმძღვანელი.

მოგეხსენებათ, მალდინის გარდა საუბარი იყო სხვა სპეციალისტებზეც, რომელთა შორის ჯოვანი ტრაპატონის და დინო ძოფის გვარები უფრო ხშირად მეორდებოდა, მაგრამ ნიცოლას გადაწყვეტილება მრავალმხრივ არგუმენტირებული გახლდათ. უპირველესად აღსანიშნავია, რომ ჩეზარე მალდინი გამოცდილი და წარმატებული მწვრთნელია. მისი ხელმძღვანელობით იტალიის 21 წლამდე ასაკის ნაკრებმა ზედიზედ სამჯერ (1992, 94, 96) მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. ასე რომ „დიდი ნაკრები", თუკი წინასწარ ამის თქმა შეიძლება, საიმედო ხელშია. გარდა ამისა, ტრაპატონი რომ „ბაიერნიდან" წამოეყვანათ, ან ძოფი „ლაციოდან", იტალიის ფეხბურთის ფედერაციას გაცილებით დიდი ხელფასის დანიშვნა მოუწევდა, ვიდრე მალდინის შემთხვევაში უწევს. მასშტაბის ერთხელაც წარმოსადგენად, გავიხსენოთ, რომ არიგო საკი წელიწადში მილიონ სამასი ათას დოლარამდე იღებდა. სავარაუდოა, რომ მალდინის არც მოთამაშეებთან ურთიერთობაში ექნება პრობლემა, რამეთუ ნაკრების კაპიტანი მისი ვაჟი პაოლოა.

ამრიგად, თუ რამ საწაული არ მოხდა, გაისად თბილისში იტალიის ნაკრებს ჩეზარე მალდინი ჩამოიყვანს, რომელსაც ოფიციალური დებიუტი 1997 წლის 12 თებერვალს უემბლიზე ექნება.

### ჩეზარე მალდინი

დაიბადა 1932 წლის 5 თებერვალს ტრიესტში

სერია A-ში დებიუტი 1953 წლის 24 მაისს: პალერმო — ტრიესტინა 0:0

ფეხბურთელობისას თამაშობდა შემდეგ გუნდებში:

1952-54 ტრიესტინა (32 მატჩი)

1954-66 მილანი (347 მატჩი, 3 გოლი)

1966-67 ტორინო (33 მატჩი)

სულ სერია A-ში ითამაშა 412 მატჩი, გაიტანა 3 გოლი

1971 წლიდან პროფესიონალი მწვრთნელია. 1971-74 წლებში „მილანის" მეორე მწვრთნელი იყო. 1974-76 წლებში სერია B-ს „ფოჯას" წვრთნიდა. შემდეგი წელი ამავე ლიგის „ტერნანაში" იმუშავა. 1978 წელს სათავეში ჩაუდგა სერია C-ში მყოფ „პარმას" და იგი იმავე სეზონში სერია B-ში გადაიყვანა. 1980-86 წლებში იტალიის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა, 1986 წლიდან დღემდე კი იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. ამ ხნის განმავლობაში იტალიელმა ახალგაზრდებმა მალდინის ხელმძღვანელობით სამჯერ მოიპოვეს თანატოლებში ევროპის ჩემპიონის ტიტული (1992, 1994, 1996).



# ჯამარაული „დინამოდან" მიდის!

## შესაძლოა, მოსკოვის „სპარტაკში"

ეს ცნობა დაგვიდასტურა „დინამოს" პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ.

როგორც სანდო წყაროებიდან შევიტყვეთ, ყველაზე უფრო სავარაუდო ვარიანტად მოსკოვის „სპარტაკი" მიიჩნევა, თუმცა ამის თაობაზე ჟორდანია მხოლოდ ზოგადი პასუხით შემოიფარგლა: „მიწვევები არის რუსეთიდანაც და სხვა ქვეყნიდანაც. ამ საკითხის გადასაწყვეტად უახლოეს ხანს უცხოეთში გავემგზავრები და სადაც გოჩას უკეთეს პირობებს შესთავაზებენ, იქ გავუშვებთ."

თავად გოჩამ ეს ცნობა არ დაადასტურა, თუმცა არც უარყო.

# სასახლეში ბურთი გაგორდა

კვირას თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო მინი-ფეხბურთის ტურნირი „აიეტი-TV"-ის პრიზზე. ტურნირში მონაწილეობს 20 გუნდი, რომლებმაც 4 ჯგუფი შეადგინეს. დღეისათვის უკვე ჩატარდა ორი ტური და ფავორიტებიც გამოიკვეთნენ. A ჯგუფის და, საერთოდაც, ტურნირის უდავო ფავორიტი ორგანიზატორთა „აიეტი" ჩანს. კორღალიძის, სოლოღაშვილის, ფანცულაიასა და ტყავაძის მეშვეობით ამ გუნდმა ორივე შეხვედრაში გაანადგურა მეტოქეები და ჯერჯერობით ყველაზე მეტი — 21 გოლიც გაიტანა, რის გამოც მათი გამარჯვების შანსი ყველაზე რეალურადაა მიჩნეული სასახლეში მომუშავე ტოტალიზატორში. თუმცა კი, უნდა აღინიშნოს, რომ მათზე ნაკლები შთაბეჭდილება როდი დატოვა „ვითამ", „ვაკემ", „დინამომ" და „თემქამ". განსაკუთრებით გამოვარჩევდით დინამოელებით შედგენილ „საბურთალოს", აგრეთვე აკაკი დევაძის „ხილიანს".

სავარაუდოა, რომ მთავარი პრიზისათვის სწორედ ესენი იბრძოლებენ. მანამდე კი ჩასამთავრებელია ჯგუფური ტურნირები, რომლებზეც ჯერ ვერ ვიტყოდით, ძალზე საინტერესოდ მიმდინარეობსო. მიზეზი ისაა, რომ გუნდების ძალაში აშკარა განსხვავებაა, იყო რამდენიმე მწვავე ეპიზოდიც, რომლებშიც ტურნირის ორგანიზატორებს მოუხდათ ჩარევა. „მარბიელი" — ტელევიზიის შეხვედრისას ერთ-ერთმა გუნდმა წუთშესვენება ითხოვა, მარბიელებიც გაჩერდნენ, ტელევიზიამ კი გოლი გაიტანა და მსაჯმაც ჩათვალა. კამათის მიზეზიც ეს შეიქნა. მარბიელების აზრით, გოლი უსამართლოდ გავიდა, თუმცა ტურნირის ორგანიზატორებმა მსაჯის გადაწყვეტილება სამართლიანად მიიჩნიეს.

პირველ ორ ტურში ყველაზე საინტერესო და დამაინტრიგებელი „თემქა" — „დინამოს" მატჩი გახლდათ (ამ უკანასკნელთ მხოლოდ პირობითად ჰქვიათ ვეტერანები, რადგან უმთავრესად „დინამოს" ძირითადი მოთამაშეები ჰყავთ). მე-16 წუთზე „თემქა" დაწინაურდა და თამაშიც გაიხსნა, შეტევები ერთმანეთს ენაცვლებოდა. თემქელებმა რამდენიმე ნაღდი მომენტი ვერ გამოიყენეს, დინამოელებს კი თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვიათ და გაიმარჯვეს 2:1. სხვათა შორის, მათი 7 გოლიდან 3 მერანელი თამაზ პერტიას ანგარიშზე მოდის. ტურნირის ორგანიზატორებს, ტრადიციულად, პრობლემა თელასისგან ექმნებოდათ: თავი დისკოტეკაზე გეგონებოდა, შუქი ხან აინთებოდა, ხან ქრებოდა. თუმცა, მეორე დღეს ეს პრობლემა მოიხსნა და თამაშებიც ნორმალურად განათებულ დარბაზში ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ ბილეთის სიიაფის მიუხედავად (1 ლარი), ჯერ მაყურებელს ტრიბუნები არ შეუვსია. არც გაემტყუნებათ: კარგი თამაშები ჯერ ცოტაა, სანახაობა მეოთხედფინალებიდან დაიწყება.

**მერაბ მამულაშვილი**

### A ჯგუფი

მარბიელი — ტელევიზია 2:3, აიეტი — გაენათი 13:2, გაენათი — ტელევიზია 2:2, აიეტი — თურქები 9:3

### B ჯგუფი

ენერგეტიკოსი — ცისარტყელა 0:0, დინამო (ვეტერანები) — თემქა 2:1, თემქა — ცისარტყელა 3:1, დინამო (ვეტერანები) — 21-ე საუკუნე 5:3

### C ჯგუფი

ვაკე — სამხატვრო 6:1, ვითა — ორბი 6:1, ორბი — სამხატვრო 1:2, ვითა — ბიომედი 12:0

### D ჯგუფი

ხილიანი — ფალავანი 6:2, საბურთალო-2 — არწივები 4:2, ფალავანი — არწივები 0:3, საბურთალო — ერისთავი 7:1



# კრედიტით და ბაგრატიონით აღთქმულ მიწაზე

კვირას საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ისრაელს გაემგზავრა 19 დეკემბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის ჩასატარებლად.

როგორც შევიტყვეთ, ნაკრებ გუნდს ფინანსური პრობლემები აქვს და ისრაელში ბანკიდან გამოტანილი პროცენტიანი კრედიტის ხარჯზე წავიდა. საქმე ისაა, რომ სპორტის დეპარტამენტს უკვე ამოეწურა წლევანდელი საბიუჯეტო სახსრები და გუნდის დაფინანსება ამად ვერ შეძლო. ბანკის ვალს დეპარტამენტი დაფარავს, როგორც კი გაისისთვის გათვალისწინებულ საბიუჯეტო სახსრებს მოიზიდავს.

ისრაელში 9 კალათბურთელი ითამაშებს: სტეფანია, დადიანი, ნაცვლიშვილი, სანაძე, ქარაბაკი, ჩხეიძე, უსტიაშვილი, თორთლაძე, ორმოცაძე. სტეფანია ისრაელში შეუერთდება ჩვენს ნაკრებს. რაც შეეხება ბერძენიშვილს, რომელიც სლოვაკეთში თამაშობს: როგორც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა როლანდ ხომერიკმა გვითხრა, სლოვაკთა გუნდის უფროსობას ბერძენიშვილის ნაკრებში გამოშვება არ სდომებია.

ნაკრები საქართველოში 23 დეკემბერს დაბრუნდება და სწორედ იმის გამო, რომ მოსამზადებელი სამუშაოები ვერ ესწრება, 24-ში დანიშნული კალათბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გაურკვეველი ვადით გადაიდო.

„ფედერაციაში ბევრი რამის კარდინალურად შეცვლა გვსურს. გვინდა მოვიზიდოთ ის ხალხი, რომლებიც არა მხოლოდ მორალურად, არამედ მატერიალურადაც დაეხმარებიან ქართულ კალათბურთს, ამისათვის დრო არის საჭირო. ნაუცბათევად და ფორმალურად ყრილობის ჩატარება მიზანშეუწონლად მიმაჩნია" — გვითხრა როლანდ ხომერიკმა.

როგორც შევიტყვეთ, ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტი ავთანდილ საყვარელიძე აღარ აპირებს პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურის წამოყენებას.

საქართველოს ნაკრებს ისრაელში საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ახალი პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონიც გაჰყვა. ასე ნაადრევად ჩვენები იმიტომ გაფრინდნენ, რომ თელ ავივში თბილისიდან კვირაში მხოლოდ ერთი ავიარეისია.

**ერეკლე ქიქილაშვილი**

# კახა ცხადაძე: ერთ მატჩს ნუ გადამაყოლებთ

მტერს რომ არ უსურვებ, ისეთ დღეშია ჩვენი ნაკრების კაპიტანი კახი ცხადაძე. კახიმ „მანჩესტერ სიტისთან" კონტრაქტი გააფორმა, გერმანელებმა სატრანსფერო თანხაც მიიღეს და მის საფასურად ბულგარეთის ნაკრების მოთამაშე ხუბჩევი იყიდეს. ცნობები ცხადაძის გადასვლის შესახებ საინფორმაციო საშუალებებმაც უმალ გაავრცელეს და იმ დროს, როდესაც ყველა ელოდა ცხადაძის ინგლისში ჩასვლას და ასეთი ვითარებისთვის ჩვეულ მოთამაშის პრეზენტაციას, ბრიტანელთა შრომის სამინისტრომ მას სამუშაო ვიზის გაფორმებაზე უარი უთხრა! ეს ცნობაც უმალ გავრცელდა და მასთან ერთად ათასი მითქმა-მოთქმაც.

–კახი სპორტის სასახლეში ვნახე „აიეტი-TV"-ის ტურნირზე დინამოელებს ქომაგობდა. ვფიქრობ, ჩვენი ინტერესები გარკვეულწილად ერთმანეთს დაემთხვა, მე ჩაშლილი კონტრაქტის შესახებ გავრცელებულ ხმებზე მისი კომენტარი მაინტერესებდა, კახის კი ამ ხმების გაბათილება. თუმცა, დროის სიმცირის გამო ბევრი საინტერესო კითხვა გვერდზე გადავდე.

**— ამჟამად, როგორც ვიცი, უგუნდოდ ხარ დარჩენილი...**

— არა, ჯერ, სამწუხაროდ, ისევ გერმანელებს ვეკუთვნი. ინგლისელები დაიბრუნებენ ჩემში გადახდილ თანხას. სამწუხაროდ, მე კონტრაქტის დასრულების შემდეგაც ვერ განვთავისუფლდები, ჩემი წაყვანის მსურველს მაინც თანხის გადახდა მოუწევს.

**— კახი, ცოტა უცნაური ამბავი მოხდა—კონტრაქტი კი გაგიფორმეს, მაგრამ შრომის სამინისტრომ ბოლოს უარი გითხრა. არადა, თუ არ ვცდები, წასვლამდე ბოლო ორი წლის მანძილზე არც ყაველაშვილს ჰქონდა ნაკრებში თამაშების 75% ჩატარებული...**

— ყაველაშვილს ჰქონდა 75 % ნათამაშევი, უფრო სწორად, ამ მაჩვენებელთან მიახლოებული ციფრი. მაგრამ გეტყვით, რაც ჩემს შემთხვევაში მოხდა. როგორც ინგლისში მითხრეს, „სიტის" პრეზიდენტ ფრენსის ლის საკმაოდ შელახული ავტორიტეტი აქვს. სწორედ მან ვერ გაახერხა შრომითი ვიზა. ყველა იმას მეუბნებოდა, „მანჩესტერ იუნაიტედს" რომ სდომებოდა შენი გადაყვანა, პროცენტულ მაჩვენებელს აღარავინ მოიკითხავდაო. ფრენსის ლის და იმ მენეჯერებს კი, ვინც ამ გადასვლაში მონაწილეობდნენ, ვიმეორებ, სახელი აქვთ გატეხილი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში. შრომის სამინისტრო კი ვიზას სწორედ ასოციაციის თხოვნის საფუძველზე გასცემს.

**— არსებობს მოსაზრება, ცხადაძე იმიტომ არ წაიყვანა „სიტიმ", რომ...**

— ...თბილისში ინგლისთან ცუდად ითამაშაო, არა? მე პირადად „სიტის" თამაში არ მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ გუნდი კატასტროფის პირზეა, მეორე დივიზიონიდანაც ვარდება. სპეციალისტებმა კარგად იციან, რომ ფეხბურთელის ერთი თამაშით შეფასება არ შეიძლება. თანაც, თუ მეორე გოლისას დაშვებულ შეცდომას არ ჩავთვლით, მგონი, მთლად კატასტროფულადაც არ მითამაშია. შეცდომა კი ვის არ მოსვლია?! ამავე დროს, არ მესმის, როგორ უნდა მოეხდინა გავლენა 9 ნოემბრის შეხვედრას ჩემს ტრანსფერზე, როცა კონტრაქტი უკვე გაფორმებული მქონდა?

**— „სიტიც" და „აინტრახტიც" თავიანთი ქვეყნების ჩემპიონატების მეორე დივიზიონში გამოდიან. გადასვლისას რა სტიმული გქონდა?**

— ისე, კიდევ კარგი, არ გადავედი. ჩაშლილ კონტრაქტს სხვა კუთხით რომ შევხედოთ, შეიძლება, ჩემთვის უკეთესიც იყოს. ჩემი წარსულიდან გავიხსენებ, 1991 წელს — „სუნდსვალიდან" უკვე წამოსული ვიყავი და „მალმიოში" მიწვევდნენ. კონტრაქტის პირობებზე დეტალურად ვისაუბრეთ და, ფაქტიურად, მის გაფორმებას ჩემი ხელმოწერა აკლდა. ბედად, „მალმიოს" მწვრთნელი მოხსნეს და ეს კონტრაქტიც ჩაიშალა. მას შემდეგ გამოჩნდა „აინტრახტი" და დაიწყო ჩემი აღმასვლა. სიმართლე გითხრა, „სიტიში" გადასვლაზე თანხმობა იმიტომ განვაცხადე, რომ ქინქლაძისა და ყაველაშვილისგან ვიცოდი, 35 თამაში და ამასთან ერთად პრემიერლიგაში გადასვლის შანსიც ჰქონდათ დარჩენილი. კონტრაქტი რომ ჩაიშალა, მას შემდეგ რვიდან ექვსი თამაში წააგეს და ახლა ვფიქრობ, კიდევ კარგი, არ გადავედი-მეთქი. ვიცი, ამ სიტყვებს ისე გაიგებენ, ვეღარ გადავიდა და ისღა დარჩენია, „სიტი" ლანძღოს, ცუდი გუნდიაო. ვიმეორებ, კონტრაქტის გაფორმებისას „სიტის" პრემიერლიგაში დაბრუნების თეორიული შანსი ჰქონდა. ახლა კი სხვა, უფრო რეალური შანსი გაუჩნდა — მეორე დივიზიონიდან გავარდნისა. მაგრამ, ვისაც რა უნდა, ისა თქვას. ინგლისთან თამაშის შემდეგ ამბობენ — ცხადაძის მზე ჩაესვენაო. მე ასე არ ვფიქრობ, ეს მხოლოდ სიტყვები რომ არ არის, მალე დაგარწმუნებთ. ყველას ვთხოვ, ერთ თამაშს ნუ გადამაყოლებენ. მეც ვიცი, რომ ინგლისთან ცუდად ვითამაშე, მაგრამ ეს ჩემი ჩამოწერის საბაბს არ იძლევა. ჩავარდნა ყველას ჰქონია და არც მე ვარ გამონაკლისი.

**— დეპრესიას თავი თუ დააღწიე?**

— ვერ ვიტყვი, რომ დეპრესიაში ვიყავი-მეთქი. თუმცა, სასიამოვნო ნამდვილად არ იყო ჩემი მდგომარეობა. ფრანკფურტიდან აბარგებულები ვიყავით, დღედღეზე ოჯახი ინგლისში უნდა გადამეყვანა. ამ დროს ვიზაზე უარს მეუბნებიან. დეპრესიაზე რა გითხრა და, უარმა ცუდ ხასიათზე კი დამაყენა. ისე, როცა ინგლისიდან შემატყობინეს, შრომის სამინისტრომ შენზე უარი თქვაო, ამოვისუნთქე. გეფიცები, მართლა ასე იყო. რატომ, იცი? როცა გუნდი მუდმივად აგებს, იქ მცველებზე და განსაკუთრებით უცხოელებზე ტყდება ჯოხი. ისედაც ყაველაშვილს აღარ ათამაშებენ, ქინქლაძესაც პრესა ძველებურად აღარ სწყალობს. გადასვლის შემთხვევაში მეც განტევების ვაცად ვიქცეოდი.

**— ადრე გაზაევს შენი გადაყვანა სურდა. ახლაც გთავაზობს „ალანიაში" გადასვლას?**

— სიმართლე რომ გითხრა, ახლა გადასვლა არავის შემოუთავაზებია. ბოლო ხუთი წლის მანძილზე პირველად მომეცა საშუალება, ახალ წელს სახლში შევხვდე, დავფიქრდე და ფხიზელი გონებით გადავწყვიტო, რა ვქნა, როგორ მოვიქცე. ჩემთვის მთავარი ისაა, რომ უკვე დავწყნარდი, ტრავმები აღარ მაწუხებს და მჯერა, ეს უიღბლობაც დამთავრდება. სხვას ყველაფერს ეშველება...

**მერაბ მამულაშვილი**

## კოტე მეტრეველს „სიონში" დარჩენა არ სურს

თუმცა, სად გააგრძელებს ბოლნისელთა თავდამსხმელი კარიერას, ჯერ არ გადაუწყვეტია: „ბოლნისელთა მადლიერი ვიქნები მთელი ცხოვრება, რადგან სწორედ „სიონში" თამაშისას შემნიშნეს „კოლხეთისა" და „ტორპედოს" მწვრთნელებმა და უკეთესი პირობებიც შემომთავაზეს. ჩემთვის აშკარაა, რომ ბოლნისში არანაირი პერსპექტივა არ გამაჩნია — არც კლასის ამაღლების და არც ევროთასებზე მონაწილეობის, რაც ყველა ნორმალური მოთამაშის სურვილია. იმედია, „სიონის" ხელმძღვანელობა გაიგებს ჩემს სატკივარს და გუნდიდან უპრობლემოდ გამიშვებს. ფოთელებისა და ქუთაისელების გარდა, კიდევ იყო სხვა წინადადებები, თუმცა სწორედ ამ ორმა გუნდმა უფრო კონკრეტული წინადადებით მომმართა. ბუნებრივია, „კოლხეთის" ვარიანტს ვამჯობინებ, რადგან ფოთელები, თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, გაისადაც ევროთასებზე ითამაშებენ. ეს კი ჩემთვის დიდი სტიმულია" — დასძინა მეტრეველმა.

## დარასელიას და პერტიას „დინამო" გასინჯავს

როგორც უმცროსმა ვიტალი დარასელიამ გვითხრა, მას „ბათუმი" დაუტოვებია და მოსამზადებელ პერიოდში „დინამოში" ივარჯიშებს. ისევე როგორც მერანელი თამაზ პერტია, თუმცა, დარჩებიან თუ არა ეს მოთამაშეები გუნდში, მეორე წრის წინ გაირკვევა.

## კაკუბავა მერანს ტოვებს

მართალია, სხვა გუნდებისგან განსხვავებით „მერანს" ფინანსური პრობლემები არ აწუხებს, მაგრამ ჩვენი ჩემპიონატის დაბალი დონის გამო ამ გუნდის მოთამაშეებსაც გული არ უდგებათ ჩვენში. ერთი მათგანი, დემურ კაკუბავა, რომელსაც რუსეთსა ან პოლონეთში წასვლის ვარიანტი გამოუჩნდა, „მერანს" ამიტომაც შეელია.

## წერეთელიც „სკონტოში"?

მამუკა წერეთელი, რომელმაც ახლახან „მერანში" დაიწყო ვარჯიში, თვალი რეზო ძოძუაშვილმა დაადგა და რიგის „სკონტოში" შესთავაზა გადასვლა. წერეთელიც დაყაბულებულა.

# რატომ ათგუნდიანი?

ამ ბოლო დროს არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება ათგუნდიანი ჩემპიონატის 4 წრედ გამართვის მიზანშეწონილობაზე. ამგვარი შეხედულება, ბუნებრივია, შესაბამის არგუმენტაციასაც მოითხოვს — მხოლოდ იმის თქმა, მომწონს ან არ მომწონს, გამართლებული არ იქნება. ამიტომაც, განვიხილოთ ზოგი სტატისტიკური მაჩვენებელი, რაც არსებული თექვსმეტგუნდიანი ჩემპიონატის მოსალოდნელ ათგუნდიანთან შედარების საშუალებას მოგვცემს.

ამგვარ განხილვა-შედარებას, რა თქმა უნდა, არა აქვს საფუძვლიანი, ყოვლისმომცველი ნაშრომის პრეტენზია, მაგრამ იმ ზოგად მახასიათებლებსა და მაჩვენებლებს კი გამოკვეთს, რომელთა საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ასევე ზოგადი დასკვნები ათგუნდიანი ჩემპიონატის უპირატესობაზე თექვსმეტგუნდიანთან შედარებით, ცხადია, ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით.

თვალსაჩინოებისთვის, VI, VII და VIII ჩემპიონატების I წრის სატურნირო შედეგთა ცხრილები შევადგინოთ შემდეგნაირად: დავყოთ 16 გუნდი ორ, ათ და ექვს გუნდიან ჯგუფებად, გამოვყოთ ჯგუფებში თამაშები და ათეულის ექვსეულთან ურთიერთშეხვედრები.

### VI ჩემპიონატი

| | თ | ქ | % | თ | ქ | % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 სამტრედია | 9 | 24 | 89 | 6 | 16 | 89 |
| 2 დინამო | 9 | 20 | 74 | 6 | 18 | 100 |
| 3 კოლხეთი | 9 | 18 | 67 | 6 | 18 | 100 |
| 4 ბათუმი | 9 | 11 | 41 | 6 | 18 | 100 |
| 5 ტორპედო | 9 | 10 | 37 | 6 | 15 | 83 |
| 6 მეტალურგი | 9 | 11 | 41 | 6 | 13 | 72 |
| 7 დილა | 9 | 13 | 48 | 6 | 9 | 50 |
| 8 გურია | 9 | 6 | 22 | 6 | 16 | 89 |
| 9 კახეთი | 9 | 7 | 26 | 6 | 10 | 56 |
| 10 შევარდენი | 9 | 5 | 19 | 6 | 11 | 61 |
| 11 დურუჯი | 5 | 12 | 80 | 10 | 4 | 13 |
| 12 ოდიში | 5 | 10 | 67 | 10 | 5 | 16 |
| 13 ივერია | 5 | 5 | 33 | 10 | 9 | 30 |
| 14 მარგვეთი | 5 | 8 | 53 | 10 | 4 | 13 |
| 15 საპოვნელა | 5 | 4 | 27 | 10 | 7 | 23 |
| 16 სამგურალი | 5 | 2 | 13 | 10 | 1 | 3 |

### VII ჩემპიონატი

| | თ | ქ | % | თ | ქ | % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დინამო | 9 | 20 | 74 | 6 | 16 | 89 |
| 2 სამტრედია | 9 | 18 | 67 | 6 | 18 | 100 |
| 3 მარგვეთი | 9 | 15 | 56 | 6 | 18 | 100 |
| 4 კოლხეთი | 9 | 14 | 52 | 6 | 18 | 100 |
| 5 ბათუმი | 9 | 15 | 56 | 6 | 16 | 89 |
| 6 მეტალურგი | 9 | 12 | 44 | 6 | 18 | 100 |
| 7 ტორპედო | 9 | 14 | 52 | 6 | 16 | 89 |
| 8 დილა | 9 | 11 | 41 | 6 | 15 | 83 |
| 9 შევარდენი | 9 | 3 | 11 | 6 | 16 | 89 |
| 10 კახეთი | 9 | 5 | 19 | 6 | 10 | 56 |
| 11 ეგრისი | 5 | 12 | 80 | 10 | 2 | 7 |
| 12 ივერია | 5 | 9 | 60 | 10 | 4 | 13 |
| 13 ოდიში | 5 | 6 | 40 | 10 | 7 | 23 |
| 14 სიონი | 5 | 12 | 80 | 10 | 0 | - |
| 15 გურია | 5 | 6 | 40 | 10 | 0 | - |
| 16 დურუჯი | 5 | 0 | - | 10 | 1 | 3 |

### VIII ჩემპიონატი

| | თ | ქ | % | თ | ქ | % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დინამო | 8 | 20 | 74 | 6 | 18 | 100 |
| 2 ბათუმი | 9 | 18 | 67 | 6 | 16 | 89 |
| 3 კოლხეთი | 9 | 14 | 52 | 6 | 18 | 100 |
| 4 მარგვეთი | 9 | 10 | 37 | 6 | 18 | 100 |
| 5 მერანი | 9 | 17 | 63 | 6 | 8 | 44 |
| 6 ოდიში | 8 | 12 | 44 | 6 | 10 | 56 |
| 7 გურია | 9 | 8 | 30 | 6 | 12 | 67 |
| 8 დილა | 9 | 10 | 37 | 6 | 10 | 56 |
| 9 ტორპედო | 9 | 4 | 15 | 6 | 15 | 83 |
| 10 შევარდენი | 9 | 8 | 30 | 6 | 10 | 56 |
| 11 სამტრედია | 5 | 9 | 60 | 10 | 9 | 30 |
| 12 მეტალურგი | 5 | 10 | 67 | 10 | 6 | 20 |
| 13 სამგურალი | 5 | 6 | 40 | 10 | 8 | 27 |
| 14 კახეთი | 5 | 6 | 40 | 10 | 6 | 20 |
| 15 ივერია | 5 | 6 | 40 | 10 | 6 | 20 |
| 16 სიონი | 5 | 7 | 47 | 10 | 4 | 13 |

ამ ცხრილებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ ის, რომ ჩვენი თექვსმეტგუნდიანი ჩემპიონატი, ფაქტიურად, ორ — რვა-რვა გუნდიან ტურნირს წარმოადგენს (ეს ცხადად ჩანს VII ჩემპიონატის ცხრილიდან), სადაც გუნდები ურთიერთშეხვედრებში არკვევენ ვითარებას. სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში მყოფი გუნდები ვერ უწევენ წინააღმდეგობას ათეულის 7-8 გუნდს, რომლებიც უპრობლემოდ უგებენ აუტსაიდერებს არა მარტო შინ, არამედ სტუმრადაც, თანაც, სოლიდური ანგარიშებით. უნდა აღინიშნოს, რომ VI და VII ჩემპიონატებთან შედარებით VIII-ში სიმძაფრემ იმატა. მიზეზი იოლი მისახვედრია: ამ ჩემპიონატის შედეგებით ოთხი გუნდი ევროპულ სარბიელზე გადის, სამი კი დაბალ ლიგაში გადაინაცვლებს. თუ ამგვარ „გამაღიზიანებელს" შეუძლია გამოიწვიოს დაძაბულობა ჩვენს „გახლეჩილ" თექვსმეტგუნდიან ჩემპიონატში, ბუნებრივია, სტაბილურ ათგუნდიან პირველობაში უშეღავათო ბრძოლები უფრო მეტადაა მოსალოდნელი.

უფრო დეტალური შედარებისთვის განვიხილოთ შემაჯამებელი ცხრილი.

| შემაჯამებელი ცხრილი | ფრე | | | | სტუმრად მოგება | | | | დიდი ანგარიში | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | VI | VII | VIII | საშუალო (%) | VI | VII | VIII | საშუალო (%) | VI | VII | VIII | საშუალო (%) |
| ათეულის 45 შეხვედრაში | 10 | 8 | 11 | 10 (22 %) | 10 | 7 | 8 | 8 (19 %) | 7 | 15 | 14 | 12 (27 %) |
| ათეულის 60 შეხვედრაში ექვსეულთან | 6 | 5 | 6 | 6 | 16 | 21 | 12 | 17 | 21 | 28 | 18 | 22 |
| ექვსეულის 60 შეხვედრაში ათეულთან | | | | | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 |
| ექვსეულის 15 შეხვედრაში | 4 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 5 | 4 | 4 |
| სულ 120 შეხვედრაში | 20 | 13 | 18 | 17 (14 %) | 27 | 30 | 21 | 26 (22 %) | 32 | 48 | 37 | 39 (33 %) |

ამ ცხრილის განხილვა იძლევა შემდეგი დასკვნების საშუალებას.

❶ 16 გუნდის 120 შეხვედრაში საშუალოდ 17 შეხვედრა მთავრდება ფრედ, რაც შეადგენს 14 პროცენტს.

შედარებისთვის, ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატებში ეს მაჩვენებელი ასეთია: საფრანგეთი-40%, გერმანია-35%, ესპანეთი-28%, იტალია-26%, ჰოლანდია-28%, დანია-27%, პორტუგალია-24%, თურქეთი-23%, რუსეთი-23%, ლიტვა-21%, უკრაინა-18%, მოლდოვა-15%.

ათეულის 45 შეხვედრაში საშუალოდ ათი შეხვედრა მთავრდება ფრედ, რაც შეადგენს 22 პროცენტს და სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს უახლოვდება.

❷ 16 გუნდის 120 შეხვედრაში საშუალოდ 26 შეხვედრა მთავრდება სტუმართა მოგებით — 22 %. თუმცაღა, ცხრილიდან ჩანს, რომ სტუმრად მოგებული თამაშების მეტი წილი მოდის იმ შეხვედრებზე, რომლებშიც ათეულის გუნდები ხვდებიან ექვსეულის გუნდებს. 26 შეხვედრიდან 17 ათეულის მიერ სტუმრად მოგებული თამაშია. აღსანიშნავია, რომ ექვსეულის გუნდები ათეულს სტუმრად საერთოდ ვერ უგებენ.

ამრიგად, სტუმრად მოგებული შეხვედრების რაოდენობით ათეულის უპირატესობა აშკარაზე მეტია.

ათეულის 45 შეხვედრაში საშუალოდ 8-ში სტუმრები იგებენ — 19 %. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ათეულის თამაშებში მასპინძლებს უპირატესობა აქვთ, რადგან ამათ შეხვედრებში ფრედ დასრულებული მატჩების ოდენობა მეტია. 16 გუნდის 120 თამაშში 17 მთავრდება ფრედ, 26 სტუმართა მოგებით, მასპინძლები კი იგებენ 77 მატჩს ანუ 64 %. ათეულის 45 შეხვედრაში 10 მთავრდება ფრედ და 8 სტუმართა გამარჯვებით, მასპინძლები იგებენ 27 თამაშს ანუ 60 %.

ამგვარად, ათეულის პაექრობა უფრო დაძაბულია, ვიდრე 16 გუნდიანი პირველობა.

❸ 16 გუნდის 120 შეხვედრაში საშუალოდ 39 ანუ ყოველი მესამე მთავრდება დიდი ანგარიშით — 33 %. ეს ის შემთხვევაა, როცა დადებითი მანკიერში გადაიზრდება. ამ 39 თამაშიდან 22-ს ათეულის გუნდები უგებენ ექვსეულის გუნდებს ანუ ამათი 60 ურთიერთშეხვედრიდან 22 მთავრდება ათეულის გუნდების დიდი ანგარიშით გამარჯვებით, რაც შეხვედრების 37 %-ია.

ამრიგად, ათგუნდიანი ჩემპიონატის შემოღების შემთხვევაში საგრძნობლად შემცირდება ჰოკეისთვის უფრო ჩვეული ანგარიშები — 10:1, 8:2, 7:0, 6:2 და ა. შ.

❹ თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ თბილისის „დინამოს" მაჩვენებლები. VI ჩემპიონატში „დინამომ" დააგროვა ქულების 87 %, VII — 88 %. თვით ევროპის საკლუბო გრანდები „მილანი" (72 %) და „აიაქსი" (81 %), აგრეთვე სხვა ქვეყნების ჩემპიონები — დორტმუნდის „ბორუსია" (67 %), მოსკოვის „სპარტაკი" (71 %), გლაზგოს „რეინჯერსი" (81 %), „პორტუ" (75 %), სტამბოლის „ფენერბაჰჩე" (82 %) და სხვები ვერ იგებენ თავიანთ ჩემპიონატებს იმხელა უპირატესობით, როგორითაც „დინამო". ამავე დროს, ათეულის გუნდებთან „დინამომ" VI და VII ჩემპიონატებში დააგროვა ქულების შესაბამისად 78 და 79 %, ასე რომ, „დინამო" ქულებს კარგავს ათეულში შემავალ გუნდებთან. მაგალითად: VI ჩემპიონატში დაკარგული 12 ქულა მხოლოდ ათეულის გუნდებზე მოდის, VII-ში დაიკარგა 11 ქულა, ასევე ათეულის გუნდებთან.

ამრიგად, „დინამოსთვის" ათგუნდიანი პირველობა, შეხვედრების ხარისხსა და დაძაბულობას თუ გავითვალისწინებთ, უფრო მისაღები უნდა იყოს, ვიდრე თექვსმეტგუნდიანი.

❺ განხილვისას ლაპარაკი იყო ათეულის შეხვედრებზე. უპრიანი იქნება, განვასხვავოთ ათეულის გუნდების მატჩები თექვსმეტგუნდიანი ჩემპიონატის ფარგლებში და ათგუნდიანი პირველობა. განსხვავება, უპირველეს ყოვლისა და, რაც მთავარია, სატურნირო ცხრილის შუაგულში მყოფ გუნდებს უნდა შეეხოს.

როგორც VI და VII ჩემპიონატების შედეგები ცხადყოფს, იმისათვის, რომ ჯგუფიდან არ გავარდე, სეზონის განმავლობაში უნდა დააგროვო ქულების 30 %, დაახლოებით 27 ქულა. ჩვენი „გახლეჩილი" ჩემპიონატის პირობებში ცხრილის შუაგულში მყოფი გუნდები პირველი წრის შემდეგ აგროვებენ ამ 27 ქულის ნახევარზე მეტს, რაც საშუალებას აძლევთ, მაგალითად, მე-7, მე-8 ადგილზე მყოფ გუნდებს, მე-20 — 23-ე ტურებიდან „დაარიგონ" ქულები.

ათგუნდიან, 4-წრიან ჩემპიონატში ქულების 30 % შეადგენს 32 ქულას. ათეულის მე-7, მე-8 გუნდები ერთი წრის განმავლობაში აგროვებენ საშუალოდ 10 და 8 ქულას შესაბამისად. ამრიგად, მათ არათუ ქულების დარიგებისთვის ეცლებათ, არამედ ჯგუფში დასარჩენად მოუწევთ ბრძოლა. თუმცაღა, ათგუნდიანი პირველობის უპირატესობა ის არის, რომ ამ გუნდებს, წარმატებული მატჩების სერიის შემთხვევაში, ეძლევათ შანსი, იბრძოლონ ოთხეულში მოსახვედრად, ვინაიდან ათეულის მე-4 გუნდსა და მე-7, მე-8 გუნდებს შორის სხვაობა 4, 6 ქულაა. მოსალოდნელია, რომ 7, 8 გუნდი მუდმივი სატურნირო დაძაბულობის წნეხში მოექცევა. ამან კი უნდა გამოიწვიოს თამაშის საერთო დონის, ტაქტიკური, ფუნქციური, ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესება. ჩვენს თექვსმეტგუნდიან ჩემპიონატში ხომ სულაც არ არის აუცილებელი ულტრათანამედროვე მეთოდების და მოდელების გამოყენება თამაშის მოსაგებად. არც მთელი 90 წუთის განმავლობაშია საჭირო ბრძოლა და სირბილი, რადგან 50 პროცენტი თუ არა, 40 პროცენტი შეხვედრებისა, ფაქტიურად, პირველივე ტაიმში მთავრდება, მეორე ტაიმი კი ფორმალურადღა ტარდება, ოქმისთვის.

ევროპული თამაშები შინაურ პირველობაში ინდიკატორია. ჩვენ ვაგებთ არა იმიტომ, რომ სუსტები ვართ, არამედ იმიტომ, რომ სუსტი ჩემპიონატი გაგვაჩნია. თუ შევადარებთ წლევანდელი ჩემპიონატის ათეულის და ამავე წლის შოტლანდიის ათგუნდიანი ჩემპიონატის სატურნირო ცხრილებს და ზოგიერთ სტატისტიკურ მაჩვენებლებს, ფაქტიურად, მნიშვნელოვან განსხვავებას ვერ ვიგრძნობთ. ჰოდა, ათგუნდიანი ჩემპიონატის შემოღების შემთხვევაში, ერთ-ორ წელიწადში მაინც, იქნებ ამაღლდეს ჩვენი გუნდების საერთო დონე ისე, რომ შოტლანდიის გუნდებმა გაგვიწიონ ჩვენ ღირსეული წინააღმდეგობა და არა პირიქით.

| შოტლანდია | თ | ქ | ქ | თ | საქართველო |
|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 9 | 22 | 20 | 8 | დინამო |
| სელტიკი | 9 | 20 | 18 | 9 | ბათუმი |
| აბერდინი | 9 | 15 | 17 | 9 | მერანი |
| ჰიბერნიანი | 9 | 14 | 14 | 9 | კოლხეთი |
| დანფერმლაინი | 9 | 12 | 12 | 8 | ოდიში |
| ჰართსი | 9 | 12 | 10 | 9 | მარგვეთი |
| მოზერველი | 9 | 11 | 10 | 9 | დილა |
| კილმარნოკი | 9 | 7 | 8 | 9 | გურია |
| დანდი იუნ. | 9 | 6 | 8 | 9 | შევარდენი |
| რეით როვერსი | 9 | 4 | 4 | 9 | ტორპედო |

12.................ფრე.................11
10.........დიდი ანგარიში..........14
8..........სტუმრად მოგება..........8

ერთი უდავოა: საქართველოს ჩემპიონატის დონის ასამაღლებლად აუცილებლად უნდა გადაიდგას მტკიცე და ქმედითი ნაბიჯები. იქნებ ათგუნდიანი ჩემპიონატი სწორედ ერთი ასეთი, აუცილებელი ნაბიჯია? ყოველ შემთხვევაში, პრობლემის სიმწვავე ამ საკითხის განხილვას არ გამორიცხავს, პირიქით, განხილული შემდგომ გაღრმავებას საჭიროებს.

დადგება ათგუნდიანი ჩემპიონატის საკითხი დღის წესრიგში? გახდება იგი სპეციალისტების განსჯის საგანი? უარყოფითი შედეგიც ხომ შედეგია! უმოქმედობა და გულგრილობა კი ნამდვილად დამღუპველია!

**მიხეილ ბერიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთა არველაძე: 9 ნოემბრის მერე აღარ მითამაშია

გოგრიჭიანს ინგლისთან გახურება რომ უბრძანეს, გვერდით მჯდომი გულშემატკივარი მომიბრუნდა და გადმომილაპარაკა: „სწორია, კიდევ ერთი ფორვარდი გვჭირდება, შოთა მარტოა წინ". აბა, მაშინ გენახათ მისი სახე, როცა სწორედ შოთა შეცვალეს! გაოგნდა კაცი: ახლა შოთას გამოცვლა იქნება, იმის მაგივრად თავდასხმა გააძლიერონ, ერთ ფორვარდს მეორეთი ცვლიან! აღარ მინდა ამ თამაშის ყურება, ეიცი, ნაღდად წავაგეთ. დასაკარგი არაფერია, ესენი კი იმაზე ფიქრობენ, გოლი აღარ გავუშვათო... თამაში რომ მორჩა, სიძულვილით სავსე თვალებით გადახედა მინდორს, რაღაც ჩაიბურტყუნა და კბილების კრაჭუნით გასწია შინ. იმის ცოლ-შვილი შემეცოდა, რა დღეს დააყრიდა სახლში გაბრაზებული...

შოთა კი, ვინ იცის, რას ფიქრობდა გუნებაში... გუშინწინ ტელეფონით ვესაუბრე:

**— შოთა ფეხი როგორ გაქვს?**

— ნაკრების მერე არ მითამაშია, იმ თამაშზე კიდევ გამილიზიანდა და ახლა აღდგენით კურსს გავდივარ.

**— კლუბში ახალი ხომ არაფერია?**

— აბა, აქაა სიახლეები! ჩვენი პრეზიდენტი ფარუქ ოზაქი გადადგა და მის ნაცვლად თურქეთის ერთ-ერთი უმდიდრესი კაცი მეჰმეთ იალმაზი მოვიდა. „ტრაბზონსფორის" ბაზა სწორედ მისი აშენებულია. ახალმა პრეზიდენტმა უმალ ჩემპიონობის მოპოვება დაისახა მიზნად. მეც, რაც შემიძლია, ვემზადები. დღეს ტური არ ჩატარდა, თურქები უელსის ნაკრებს ხვდებიან, 22 დეკემბერს კი თუ „გაზიანთებს" მოვუგებთ, ჩემპიონობისკენ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ. ძალიან ძნელი მატჩი იქნება.

**— გავიგე, აჩიკო მამა გამხდარა.**

— 23 ნოემბერს, გიორგობას შეეძინა ბიჭი. რეზიკო დავარქვით.

**— ახალგამომცხვარი მამა რა ხასიათზეა?**

— მგონი ჭკუა დაჰკარგა სიხარულისგან.

**— ფეხი ხომ აღარ აწუხებს?**

— ახლა აღარ, ადრე გადაუბრუნდა და რამდენიმე დღით დაისვენა. უკვე თამაშობს და მალე ისევ ის აჩიკო იქნება.

**— ნემსაძის საქმეები როგორღაა?**

— გიორგის გარეშე „ტრაბზონი" ვეღარ წარმოუდგენიათ.

**— ზოგს რომ ჰკითხო, თქვენ, სამივე ერთობ სუსტ ჩემპიონატში თამაშობთ და რაც წახვედით, კი არ მოუმატეთ თამაშს, პირიქით, მოუკელით.**

— ვინ ამბობს მაგას?

**— ის, ვისაც სურს, ნაკრების მარცხი იმით გაამართლოს, ლეგიონერები სუსტ ჩემპიონატში თამაშობენ და როგორ გინდა ინგლისს მოუგოო...**

— პასუხის გაცემაც არ მსურს, იმდენად აბსურდულია ეს აზრი. თუკი ჰ აჯი და კოსტადინოვი სუსტი ფეხბურთელები ყოფილან, აბა, მე რაღა ვთქვა...

**— ისე, აღარ არის დროს ნაღდად ევროპაში გაიჭრა?**

— გავიჭრები, აუცილებლად გავიჭრები. ოღონდ არ მკითხო, რომელი კლუბები გეპატიჟებიანო. მაინც არ გეტყვი. საახალწლოდ რომ ჩამოვალ მაშინ გაგიხსნი კარტებს. ისეთი კლუბებია, შენი მოწონებული...

**— 9 ნოემბერს გაწბილებულ ხალხს რას ეტყვი?**

— პირადად მე მაპატიონ, თუ შეუძლიათ. მოუთმენლად ველი ინგლისთან მატჩს, რევანში მწყურია...

**მამუკა ქვარაცხელია**

ფირმების რეგისტრაცია

აუდიტი

სწრაფად, იაფად
(შ.პ.ს., ინდივიდუალური
საწარმო, ს.ს.)

რუსთაველის 19.
ტელ.: 93-52-34, 99-09-84;
(18 საათიდან) 73-89-39

# „ქუჩის ბიჭები" ამართლებენ

მაშ ასე — II ჯგუფის აღმოსავლეთმა ზონამ პირველი წრე დაასრულა. სეზონის წინ შექმნილი „ლოკომოტივი", რომელსაც ყველა გიორგი ქინქლაძის მამის, რობიზონის სახელს უკავშირებს, ერთპიროვნული ლიდერია და უახლოეს მეტოქე „მორკინალს" ხუთი ქულით უსწრებს. ჩემპიონატის მსვლელობისას ეს სხვაობა მეტიც იყო. მშვენივრად აღებული სტარტის შემდეგ რკინიგზელები ერთგვარად შეფერხდნენ. თუმცა, გუნდის მთავარი მწვრთნელი, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ „შევარდენის" კაპიტანი კობა ჟორჟიკაშვილი ამ შეფერხებას ლოგიკურად თვლის.

— „ლოკომოტივი", ფაქტიურად, მყარი საფუძვლის გარეშე შექმნილი გუნდია. უფრო ადრე რომ ჩამოყალიბებულიყო, სხვა საქმე იქნებოდა. ყველანი მხოლოდ სეზონის წინ შევიკრიბეთ, რის გამოც ჩემპიონატის მსვლელობისას ექსპერიმენტების ჩატარება მიხდებოდა. ტურიდან ტურამდე ახალი მოთამაშე გვემატებოდა, ამის გამო ზოგიერთმა ექსპერიმენტმა არ გაგვიმართლა. გვქონდა შეფერხებებიც, მაგრამ მთავარია, რომ ლიდერები ვართ და გუნდის ბირთვიც ჩამოვაყალიბეთ.

**— შეკრებების მოწყობას აპირებთ?**

— ვაპირებთ, მაგრამ არ ვიცი, ჩვენი ფინანსური მდგომარეობა თუ მოგვცემს ამის საშუალებას.

**— 35-სტუ-თან თქვენი თამაში რომ ვნახე, უკმაყოფილების გრძნობა დამეუფლა — ლიდერს მეათე ადგილზე მყოფ გუნდთან უკეთ უნდა ეთამაშა...**

— სხვათა შორის, სწორედ ამ გუნდმა შეაფერხა ჩვენი უშუალო მეტოქე „მორკინალი". ხომ იცით, ლიდერთან ყველა მონდომებულია. თანაც, სეზონი მთავრდება, I ჯგუფის მწვრთნელები მოთამაშეებს ეძებენ და II ჯგუფის თამაშებს ესწრებიან, ბიჭებიც ინდომებენ. ჩემი აზრით, ამ ფაქტორმა განაპირობა ჩვენი არადამაჯერებელი გამარჯვება.

**— თუ არ ვცდები, თქვენ „მრეტებიდან" გადმოიღეთ გუნდის დაკომპლექტებისას ქუჩიდან მოთამაშეთა აყვანის პრინციპი...**

— მართალია, გარკვეულწილად ასეც არის. ბარნოვი 25 წლისაა და საკმაო ხანია, დიდი ფეხბურთი არ უთამაშია, მინი-ფეხბურთს მისდევდა, ჩიგოშვილი საერთოდ კალათბურთელი იყო. მათი მსგავსნი სხვებიც არიან.

**— გიმართლებენ ეს ბიჭები?**

— ისე არ გაგვიგონ, თითქოს „ლოკომოტივი" ქუჩის ბიჭების გუნდია. მართალია, ასეთებიც გვყავს და მათი იმედიც მაქვს, მაგრამ გუნდის ბირთვს ფეხბურთში ტრადიციული გზით ნავალნი შეადგენენ. ერთი მათგანი გავიხსენოთ სამაგალითოდ: გია ფირცხალავა სულაც „დინამოში" თამაშობდა. რადგან ასე გაინტერესებთ, ისევ „ქუჩის ბიჭებს" დავუბრუნდები. ყოფილი მრეტი კვეტენაძე სამი წელი მოედანს არ გაკარებოდა. მოვიყვანე და გამოგვადგა. ამ ბიჭებს ფეხბურთისთვის დაკარგულებად თვლიდნენ და მათ მართლაც ბევრი გაუცდათ და დაკარგეს, მაგრამ მათი თამაშით პირველ წრეში, უკმაყოფილო არა ვარ.

**— და მაინც, შესაძლებელია კი, დაკარგული აინაზღაურონ და მაღალ დონეზე ითამაშონ?**

— ძნელი სათქმელია. მათ „ოქროს წლები" დაკარგეს. და ამას ვერსად წაუვალთ, მაგრამ „ქუჩის ბიჭობამ" ერთი სახეირო თვისება შესძინა — ისინი გადაურჩნენ დაშტამპულ აზროვნებას.

**— წელს პირველად დაიწყეთ დამოუკიდებლად მწვრთნელობა. გაუთვალისწინებელი სირთულე თუ შეგხვდათ?**

— ძალიან ძნელი საქმე ყოფილა. ადრე მოთამაშე-მწვრთნელი კი ვიყავი, მაგრამ ამ საქმიანობის მთელი სიმძიმე სწორედ ახლა ვიგრძენი. ბევრი რამ მწვრთნელის სკამიდან სხვაგვარად ჩანს. ვითარებაში სწრაფად გარკვევის უნარია საჭირო. ყველაზე ძნელი მოთამაშეებთან ურთიერთობაა. გამოუცდელს, გასაკვირიც იქნებოდა, შეცდომა რომ არ დამეშვა, თუმცა ამასაც ნელ-ნელა ვსწავლობ. მოთამაშეთა ნაწილი ჩემი მეგობარია, ბევრსაც ისე ვიცნობდი. მოკლედ, ნაცნობები ვართ და ერთმანეთს ვუგებთ.

**— მეგობრის მწვრთნელობა არ უნდა იყოს ადვილი საქმე...**

— ბოლო ტურში ჩემი ორი მეგობარი სათადარიგოთა სკამზეც კი ვერ მოხვდა: მოედანზე მეგობრობას ვივიწყებ.

**მერაბ მამულაშვილი**



ხუთი წლის თემური მამას ავარჯიშებს

# თუ კაცები ვართ, „ცხუმი" აღვადგინოთ

გოჩა ყორყოლიანის ჩინეთის ჩემპიონობა შარშან გაუწყეთ, წელს კი გოჩა ვერცხლის პრიზიორი გახდა. მილიარდიანი ქვეყნის ჩემპიონობის გარდა „შანხაი შენხუას" მეკარე შარშანვე 14 მილიონიანი შანხაის მერიამ დააჯილდოვა მედლით „თეთრი მაგნოლია". მედალი ყოველწლიურად გადაეცემა უცხოელ მოქალაქეს, რომელმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ქალაქის განვითარებაში.

**— გოჩა, 20 დღეა თბილისში ხართ, სულ მიატოვეთ ჩინეთი?**

— ჯერჯერობით შვებულებაში ვარ. თვის ბოლოს ვაპირებ ჩინეთში წასვლას. მომავალ წელს, ალბათ, სხვა გუნდში ვითამაშებ. „შანხაი შენხუასთან", რომლის შემადგენლობაში ორი წელი გამოვდიოდი, რაიმე ოფიციალური ვალდებულება აღარ მაკავშირებს, კონტრაქტი გუნდთან უკვე დამიმთავრდა. წელს ჩემმა გუნდმა ჩინეთის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. ამ ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 12 კლუბი გამოდის და შანხაის მერიამ და კლუბის ხელმძღვანელობამ ვერცხლი კატასტროფად აღიქვა. ამიტომაც გადადგნენ კლუბის მთავარი და მეორე მწვრთნელები. მოიწვიეს ახალი მწვრთნელი ბულგარეთიდან — სოფიის „ლოკომოტივის" ყოფილი თავკაცი, გვარად სტოიჩკოვი. იგი დეკემბრის შუა რიცხვებში ჩავა შანხაიში და სამ ბულგარელ ფეხბურთელს ჩაიყვანს. ამიტომ ჩემი თანაგუნდელები — ფრანგები კრისტიან პერესი, ვინაც 1992 წლის ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთის ღირსებას იცავდა, „კანის" ყოფილი მცველი ზანგი ჟიუზე ბრე, „მონპელიეში" ნათამაშევი თავდამსხმელი კლემენტ გარსია და პეტერბურგის ზენიტელი ბასკოვი ალბათ წავლენ შენხუადან", თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი დეკემბრის ბოლოს გადაწყდება.

**— თქვენ რას აპირებთ?**

— რამდენიმე ჩინური კლუბი მიწვევს, მათ შორის ქალაქ იანბიენის ცნობილი „ხუნდაი". ეს ქალაქი კორეის საზღვართან მდებარეობს. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს კორეელები შეადგენენ. გუნდს სამხრეთკორეული ფირმა „ხუნდაი" აფინანსებდა. ვფიქრობ, თუ გადაველ, გაისად უკეთესი პირობები მექნება, ვიდრე შარშან.

**— სხვა ქვეყნის კლუბებს ხომ არ მიუწვევიხართ?**

— აგვისტო-სექტემბერში „შანხაი შენხუამ" აზიის ჩემპიონთა თასზე მოსინჯა ძალა. პირველ ტურში „ჰონკონგი" დავამარცხეთ — 7:1, 2:1, შემდეგ იღბალმა გვიმტყუნა — თასის შარშანდელ მფლობელს, სამხრეთკორეულ „ილვას" შევხვდით. ამ გუნდმა 1995 წელს აზიის სუპერთასი და აზია-აფრიკის საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. „ილვაში" კორეის ნაკრების ხუთი წევრია, ამათგან ოთხმა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანელების წინააღმდეგ ითამაშა. „ილვას" კარს იცავს ცნობილი რუსი მეკარე სარიჩევი, რომელიც „ტორპედოს" კარის დარაჯი იყო, როსტსელმაშელი მცველი სტიოპუშკინი და ერთი არგენტინელი ფორვარდი.

პირველი მატჩი სამხრეთ კორეაში ფრედ დავასრულეთ — 0:0. 80 ათასი მაყურებელი დაესწრო ამ შეხვედრას სეულში. შინ კი, შანხაიში, 87-ე წუთზე გაგვიტანეს და 1:0 მოგვიგეს. ამ მატჩში უამრავი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. კორეაში პირველი თამაშის შემდეგ ჩემთან „ილვას" წარმომადგენელი მოვიდა და კლუბში გადასვლა შემომთავაზა. სარიჩევი, თურმე, კარიერის დასრულებას აპირებს და გუნდში მეორე მწვრთნელად რჩება. ვუთხარი, სასტუმროში მოდით საუბრის გასაგრძელებლად-მეთქი, მაგრამ სასტუმროში არავინ მოსულა. მიზეზი შემდეგ გავარკვიე: იქვე, სტადიონზე, კორეელები მისულან ჩემი კლუბის ხელმძღვანელებთან, რომლებსაც უთქვამთ, გოჩას ვერსად გავუშვებთ, სამწლიანი კონტრაქტი აქვსო. მოკლედ, ჩინელებმა მოატყუეს კორეელები — მე ხომ ერთწლიანი კონტრაქტი მქონდა. ეს გვიან გავიგე. მაქვს მიწვევა ჰონკონგის „ინვესტ დისკიდანაც", მაგრამ არ ვჩქარობ: ზაფხულში ჰონკონგი ჩინეთის იურისდიქციაში შედის, ამიტომ არავინ იცის, რამდენი კლუბი ითამაშებს ჰონკონგიდან ჩინეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. ახლა ჰონკონგში პირველი წრე დამთავრდა. მოკლედ, ვიცი, უგუნდოდ არ დავრჩები, კიდევ სამი ჩინური კლუბი მეპატიჟება, არჩევანს ერთ-ორ კვირაში გავაკეთებ. სადაც უკეთესი პირობები მექნება, იქ ვითამაშებ.

**— „მილანმა" ჩინეთში ამხანაგური თამაშები ჩაატარა. თქვენს გუნდთანაც ხომ არ უთამაშია?**

— დიახ. ეს შეხვედრა აგვისტოში შანხაიში ჩატარდა. მთელი მატჩი ვითამაშე, „მილანი" ძირითადი შემადგენლობით გამოვიდა, რობერტო ბაჯოც იყო. 0:1 წავაგეთ, ბურთი თამაშის ბოლოს შეგვიგდეს.

**— თქვენი რეკომენდაციით ჩინეთში სათამაშოდ კიდევ ორი ქართველი ფეხბურთელი — სოხუმელი სოსო მალანია და ოჩამჩირელი რომეო გოგიტიძე ჩავიდა.**

— რომეომ საიმედოდ ითამაშა პირველი ლიგის გუნდ „პუდონში", ახლა მას ჩინეთის უმაღლესი ლიგის ორი კლუბი ეპატიჟება. რომეო პირველი ლიგის საუკეთესო მცველად აღიარეს, მაგრამ, ვიცი, მას აღარ უნდა ჩინეთში წასვლა: იქ ხომ უზარმაზარი ფიზიკური დატვირთვებია, ზოგჯერ სრულიად უაზროც კი. ამის გამო წამოვიდა ჩინეთიდან სოსო მალანიაც, რომელიც „შამინში" გამოდიოდა. ორივემ კარგად ითამაშა, მაგრამ არცერთს არა აქვს ჩინეთში დაბრუნების სურვილი. მე კი ეს პრობლემა არ მქონია, რადგან მეკარე ვარ, ფიზიკურად იმდენად დატვირთული არ ვიყავი.

**— ყოფილი კავშირიდან კიდევ თუ თამაშობს ვინმე ჩინეთში?**

— „დნეპრის" მეკარე იგორ ლენჩუკი უმაღლესი ლიგის კლუბ „სიჩუანშია", „კვანტუნში" თამაშობს პეტერბურგელი ვლადიმერ ნახრატოვი, ჩემს კლუბში კი — ბასკოვი.

**— როგორც შევიტყვეთ, თქვენთვის ჩინეთის მოქალაქეობის მიღება შემოუთავაზებიათ და უარი გითქვამთ. რას ჰკარგავდი, 31 წლისა ხარ, ბოლს და ბოლოს, ჩინეთის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებდი მსოფლიო ჩემპიონატზე. თუ კიდევ ოცნებობ საქართველოს ნაკრებზე?**

— მეკარეობას კიდევ 4-5 წელი ვაპირებ და, საშუალება თუ მექნა, უეჭველად ვითამაშებ საქართველოს ნაკრებში. ვინ არ ოცნებობს ეროვნული ნაკრების მაისურზე. მეკარეები სპორტული ფორმის პიკს 30-34 წლის ასაკში აღწევენ და მეც იმ იმედით ვარ, რომ როდესმე დავიმსახურებ საქართველოს ნაკრებში გამოძახებას და ამხანაგურ შეხვედრას მაინც ვითამაშებ.

**— ჩინეთში ოჯახით იყავით?**

— დიახ, ცოლ-შვილთან ერთად. კლუბმა ორი სამოთახიანი ბინა იყიდა ლეგიონერებისთვის. ერთში ჩვენ ვცხოვრობთ, მეორე ბინა კი ცარიელია. ბასკოვი უცოლოა, ფრანგები კი მეუღლეების გარეშე ჩამოვიდნენ და შანხაის ერთ-ერთ სასტუმროში ცხოვრობენ. ჩემმა 5 წლის თემურმა უკვე შეითვისა შანხაური დიალექტი, ჩინელ ბავშვებთანაც თამაშობდა. ჩემს მეუღლეს, ნატოს კი გაუჭირდა ჩინურის სწავლა.

**— თუ იციან რაიმე ჩინელებმა ჩვენი ქვეყნის შესახებ?**

— ჩინეთის ტელევიზია ხშირად გადასცემს ინფორმაციებს საქართველოში და სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესებზე. ყველამ იცის, რომ საქართველო არის სტალინის სამშობლო, რომ საქართველოში მძვინვარებდა ომი, რომ ქვეყნის დედაქალაქი „ტიბლისია", ხოლო პრეზიდენტი — შევარდნაძე. ჩინეთის ტელევიზია გადასცემდა თბილისის „დინამოს" მიერ უეფას თასზე ნათამაშევი მატჩების ფრაგმენტებს. მოსკოვში „ტორპედოსთან" მოგებული მატჩის 10-15 წუთიანი მონაკვეთიც აჩვენეს. არც საქართველოს ნაკრების შეხვედრებს ტოვებდნენ უყურადღებოდ. თუმცა, ჩვენს ჩემპიონატზე ნაკლები ინფორმაცია აქვთ. იქაური ტელევიზია ძალიან აქებს გიორგი ქინქლაძეს. რამდენჯერმე „მანჩესტერ სიტის" თამაშის მომენტები გადაიცა. საქართველო — ინგლისის მატჩის შესახებ ბევრი დაიწერა გაზეთებში და მეც ხშირად მეკითხებიან ფეხბურთელები: „ომი დამთავრდა საქართველოში?" „როგორ ცხოვრობს ხალხი, რამდენი აქვთ ხელფასი?" ამგვარ შეკითხვებს ბოლო არ უჩანს. საერთოდ, შანხაიში კარგად იცნობენ საქართველოს. 20-30-იან წლებში შანხაიში ქართული სათვისტომო ყოფილა, ქართველი ემიგრანტები თურმე ქართულ გაზეთსაც კი უშვებდნენ. ჩვენებურები შანხაიში 1950 წლამდე ცხოვრობდნენ, სანამ „წითელმა რევოლუციამ" კულმინაციას არ მიაღწია. 50-იან წლებში კი დატოვეს შანხაი და ავსტრალიაში გადასახლდნენ.

**— ვერც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ვერც კომერციულმა სტრუქტურებმა, ვერც საზოგადოებრივმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა და მათ შორის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ვერ მოახერხეს „ცხუმის" აღდგენა, არაფერს ვამბობ აფხაზეთიდან სხვა კლუბების აღდგენაზე. ამ დროს სამაჩაბლოელმა ლტოლვილებმა და ენთუზიასტებმა შეძლეს „ცხინვალის" აღდგენა. თქვენი აზრით, ვინ უნდა ითავოს ეს საქმე?**

— „ცხუმი" ჩვენთვის მარტო საფეხბურთო კლუბი არ იყო. იგი ქართული სულის, ქართული სინამდვილის გამოვლინება იყო აფხაზეთში. „ცხუმის" აღდგენა უნდა ითავოს ყველა სოხუმელმა — მინისტრი იქნება თუ ბიზნესმენი, სპორტსმენი თუ მსახიობი, ყველა აფხაზეთიდან დევნილმა უნდა იფიქროს „ცხუმის" აღდგენაზე, რა თქმა უნდა, საქართველოს სხვა რეგიონების დახმარებით. „ცხუმი" რომ აღდგება, მერე ალბათ გალის „მზიური", ოჩამჩირის „ამირანი", გაგრის „სიხარული" და სხვა აფხაზური კლუბებიც შეიკრიბებიან. აფხაზი სეპარატისტები უეჭველია, ზეიმობენ — „ცხუმი" 1990 წელს შეიქმნა და 93-ში კი ჩვენ მოვკალითო. ალბათ იმასაც ფიქრობენ, აფხაზეთში ქართული სული ჩავკალითო. თუ კაცები ვართ, ჯერ „ცხუმი" აღვადგინოთ და მერე აფხაზეთში დაბრუნებასაც შევძლებთ.

მე მზად ვარ შეძლებისდაგვარად დავეხმარო იმ საინიციატივო ჯგუფს, რომელიც ითავებს კლუბის აღდგენას, ფორმებით, ინვენტარით თუ სხვა რამით. საერთოდ, ჩემი ოცნებაა, საფეხბურთო კარიერა ორი-სამი წლის შემდეგ „ცხუმში" დავასრულო.

„ცხუმის" ყველა ყოფილი ფეხბურთელი ოცნებობს იმაზე, რომ კარიერის ბოლო მშობლიურ კლუბში გაატაროს. ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ „ცხუმი" ვერ აღდგება მანამ, სანამ აფხაზეთს არ დავიბრუნებთ. ხომ არის კვიპროსში დევნილთა გუნდი „ანორთოსისი". ევროთასებზეც გამოდის. თუ კვიპროსელმა ბერძნებმა და სამაჩაბლოელმა ქართველებმა ამდენი შეძლეს, აფხაზეთიდან დევნილებს რაღა დაგვემართა?

**თენგიზ პატკორია**

საგანგებოდ „სარბიელისთვის"

# ევროპა

## V ჯგუფი

### კვიპროსი 1:3 ბულგარეთი

ლიმასოლში გამართულ შეხვედრაში, ბულგარელებმა მძიმე გრუნტს სწრაფად აუღეს ალღო და 23-ე წუთზე ანგარიში გახსნეს. მასპინძელთა დაცვის დაბნეულობით კრასიმირ ბალაკოვმა ისარგებლა, ახლო მანძილიდან დარტყმით გახსნა ანგარიში. 29-ე წუთზე კვიპროსელებმა გაათანაბრეს. მათმა კაპიტანმა პამპოს პიტასმა ჯარიმიდან ზუსტად დაუმიზნა. ხუთი წუთი აცალა ბალაკოვმა, ვიდრე თავისიანებს კვლავ წინ გაიყვანდა, მეორე ტაიმში კი ილიან ილიევმა მატჩის ბოლო გოლი გაიტანა. 75-ე წუთზე მასპინძლებს სხვაობის შემცირება შეეძლოთ, მაგრამ სინიშა გოგიჩმა პენალტი ააცილა.

### ისრაელი 1:0 ლუქსემბურგი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:1 | 7 |
| ისრაელი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| ბულგარეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| კვიპროსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

## VI ჯგუფი

### ესპანეთი 2:0 იუგოსლავია

**ესპანეთი: სუბისარეტა, აბელარდო, სერხიო, ალკორტა, ნადალი, რიოხი, გვარდიოლა, ლუის ენრიკე, კიკო (მანხარინი 76), რაული (გერერო 89), ალფონსო (ამორი 57)**
**იუგოსლავია: კოჩიჩი, ვიდაკოვიჩი (პანტიჩი 77, ნადი 84), ჯოროვიჩი, იოკანოვიჩი, ჯუკიჩი, ბრნოვიჩი, იუგოვიჩი, სავიჩევიჩი, მიატოვიჩი, სტოიკოვიჩი, საველიჩი**
**გაძევება: საველიჩი (86)**

„ბარსელონას" ნახევარმცველი ხოსე გვარდიოლა კლუბშიც და ნაკრებშიც ერთთავად ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბევებას ცდილობს. იუგოსლაველებთან თამაშშიც მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ იგი მადრიდის „რეალის" ვეტერანის ფერნანდო იეროს შემცვლელად მიიწვია. მწვრთნელი არ შემცდარა, გვარდიოლამ ესპანელთა ორივე გოლში მიიღო მონაწილეობა. პირველი, პენალტით თავად გაიტანა, მეორე კი რაულს კარგი პასით გაატანინა.

მატჩი რომ დასრულდა, კლემენტემ პრეს-კონფერენციაზე მოთამაშის ამაგი მაინც არ აღნიშნა, ერთადერთი მადლობის სიტყვა ვალენსიელი გულშემატკი-




ბელგია — ჰოლანდია: რაიციგერი ორ ბელგიელს შორის

ვრებისთვის გაიმეტა, თუმცა ამგვარი ქცევა მას საერთოდ ახასიათებს.

— ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იუგოსლავიაში გვაქვს სათამაშო — ირიბად შეაქო ესპანელთა თავკაცმა მეტოქე. იუგოსლავიამდე კი, ოთხშაბათს, ესპანელები მალტას ეწვევიან.

გვარდიოლას მოწინააღმდეგე კოლეგამ, მასავით გამთამაშებელმა პრედრაგ მიატოვიჩმა კი საოცარი ცივსისხლიანობა გამოიჩინა. საქმე ისაა, რომ მიატოვიჩმა სახელი „ვალენსიაში" გამოსვლით დაიგდო და ახლა თავის ძველ ქომაგებს მეტოქედ რომ მოევლინა, დიდი სტვენა და ლანძღვა მოიმკა, თუმცა ყურიც არ შეუბერტყია.

ინიციატივა თავიდანვე მასპინძლებმა იგდეს ხელთ, მაგრამ ერთი უგულისყურობა კინაღამ გოლის გაშვებად დაუჯდათ. მილანელი სავიჩევიჩი ნადალს „დაემალა" და ჩინებულ პოზიციაზეც გავიდა, თუმცა ბოლო დარტყმა უზუსტო მოუვიდა.

მე-19 წუთზე ესპანელებმა უპირატესობას ხორცი შეასხეს. მიროსლავ ჯუკიჩმა საჯარიმოში ალფონსო წააქცია და პენალტით დაისაჯა. გოლი, როგორც მოგახსენეთ, გვარდიოლამ გაიტანა.

ამას ვერგამოყენებული შესაძლებლობანი მოჰყვა. უზუსტობით ალფონსომ და რაულმა შესცოდეს. მომენტი შექმნეს სტუმრებმაც. სტოიკოვიჩი საჯარიმოში შეიჭრა და უკან მიატოვიჩს დაუგორა. „რეალის" ფორვარდმა დაარტყა, მაგრამ „რეალისავე" რაფაელ ალკორტამ ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ, კიდევ ერთმა რეალელმა, რაულმა, გვარდიოლას პასით ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე ნახევრის მეხუთე წუთზე რაულს ერთხელაც ჰქონდა გოლის გატანის საშუალება, მაგრამ სტუმართა მეკარემ კოჩიჩმა გამოიჩინა ფხა.

საზოგადოდ, იუგოსლავიელთა მეკარე, ამ შეხვედრაში დაბნეული იყო. მისი დაბნეულობა ალბათ ტრიბუნიდან ნასროლმა ნივთებმა გააორმაგა. ასეთი ნივთცვენა ერთმა თანამსაჯმაც იგემა, რომლის ორიოდ გადაწყვეტილებაც მაყურებელს არ მოეწონა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად, სტუმრების მწვრთნელმა სლობოდან სანტრაჩმა მოედანზე მადრიდის „ატლეტიკოს" ფეხბურთელი მილინკო პანტიჩი შეიყვანა, მაგრამ პანტიჩი მალევე დაშავდა და გამოსაცვლელი შეიქნა. თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე კი ნიშა საველიჩმა მანხარინის წინააღმდეგ იუხეშა, რისთვისაც მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 5 | 4 | 0 | 1 | 17:4 | 12 |
| სლოვაკეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 9 |
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:1 | 4 |
| ფარერები | 5 | 0 | 0 | 5 | 5:22 | 0 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:18 | 0 |

## VII ჯგუფი

### ბელგია 0:3 ჰოლანდია

**ბელგია: დე ვილდე, დეფლანდრე (იბარი 74), ვან მეირი, რენიერი, ალბერი, ლეონარდი (ვან კერკხოვენი 74), ვილმოტსი, სტალენსი, დეგრიზე (შიერო 62), ნილისი, ოლივეირა**
**ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, ფ. დე ბური, სტამი, ნუმანი, ვინტერი, იონკი, ზეედორფი, კოკუ, რ. დე ბური (ოვერმარსი 89), ბერხკამპი (კლუივერტი 68)**
**გოლი: ბერხკამპი (25), ზეედორფი (29), იონკი (90 პ)**

ბრიუსელში, „მეფე ბუდუინის" სტადიონზე, რომელსაც ადრე „ეიზელი" ერქვა, მეფე ბუდუინის ძმის, მეფე ალბერტ მეორის თანდასწრებით, ბელგიის ნაკრებმა ჰოლანდიის ეროვნულ გუნდთან 0:3 წააგო. ამ ორ ქვეყანას ძველი საფეხბურთო შუღლი აქვს. ისინი სულ 118-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და აქედან 39-ჯერ ბელგიელებს უმარჯვიათ, 54-ჯერ კი ჰოლანდიელებს.

სტატისტიკამ აღრიცხა ისიც, რომ თამაშის წინ ბელგიის პოლიციამ ავტობუსში შეყარა და შინ გააბრუნა 130-მდე მეზობელი ქვეყნის ქომაგი, რომელთაც ნაირნაირი საჩხუბარი ინსტრუმენტი აღმოაჩნდათ. მატჩამდე მოხდა კიდეც ინციდენტები, საკუთრივ მატჩზე და მის მერე კი 1 500-მა წესრიგის მცველმა და წყლის შემშხეფებელმა და ძაღლებიანმა რაზმებმა უწესრიგობა აღარ დაუშვეს.

ანგარიში 25-ე წუთზე დენის ბერხკამპმა გახსნა. იააფ სტამის გრძელი პასით მან ოფსაიდსაც აარიდა თავი და ბელგიელთა მეკარე ფილიპ დე ვილდეც დაამარცხა. მეორე გოლი მადრიდის „რეალის" ფეხბურთელმა კლარენს ზეედორფმა გაიტანა. ზანგმა ჰოლანდიელმა ჯერ ერიკ ვან მეირს გაუტარა ბურთი ფეხებს შორის, მერე კი ღონიერი დარტყმით ანგარიში გააორმაგა. მესამე გოლის ავტორი გახლდათ „ეინდჰოვენის" წევრი ვიმ იონკი. იონკმა პენალტით შეაგდო, ხოლო ეს თერთმეტმეტრიანი დარტყმა აიაქსელმა მარკ ოვერმარსმა მოინადირა, როდესაც ინგლისური „ნიუკასლ იუნაიტედის" მცველმა ფილიპ ალბერმა მას სარმა გამოსდო.

ბელგიელთა უიღბლობა იმითაც გამოიხატა, რომ მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე პასკალ რენიერი გააძევეს მოედნიდან. ნიდერლანდებს მეტი გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ დე ვილდემ არ მისცა საშუალება.

— ბელგიამ კარგად დაიწყო, მაგრამ გოლმა დროულად გვიწია და შემდგომ მეორეც იღბლიანად მივაყოლეთ — თქვა პრეს-კონფერენციაზე ჰოლანდიელთა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა — მეორე ნახევარში კიდევ უნდა გაგვეტანა, თუმცა დაუდევრობა გამოვიჩინეთ, რასაც ცუდი მინდვრის ობიექტური ფაქტორიც ემატებოდა. საბოლოოდ, მაინც კმაყოფილი ვარ, ვინაიდან ამ მოედანზეც კი საუცხოო გუნდური თამაში შევძელით.

დამარცხებულთა თავკაცმა ვილფრედ ვან მურმა, ორი მოგებისა და ორი ფრის შემდეგ ნაკრებში პირველი წაგება რომ იწვნია, განაცხადა, მართალია, გულდაწყვეტილი ვარ, მაგრამ ისეთ გუნდთან წაგება, დღევანდელი ჰოლანდია რომაა, სულაც არაა შეურაცხმყოფელიო.

— საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატისკენ ერთი ნაბიჯიც გადავდგით — დაასკვნა რონალდ დე ბურმა და დასძინა, ბელგიის გუნდში დღეს ერთი ძლიერი მოთამაშეც კი ვერ ვიხილეო.

### უელსი 0:0 თურქეთი

**უელსი: საუთჰოლი, ჯენკინსი, პეიჯი, ჯოუნზი, მელვილი, პემბრიჯი, ჰორნი, სონდერსი (ჰართსონი 81), სპიდი, ჰიუზი, გიგზი**
**თურქეთი: ენგინი, რეჯეფი, ეროლი, ქემალეთინი (თოლუნაი 88), ალფაი, აბდულა, ილქერი, ოგუნი, ჰაქანი, თუგაი, არიფი (ოქრაი 70)**

თურქებმა მეორე ტაიმში ლამის გატეხეს ანგარიში. ქემალეთინმა ჯერ ხარიხას გაარტყა ბურთი, შემდეგ კი ვეტერან მეკარეს ნევილ საუთჰოლს ოსტატობა აჩვენებინა.

წინა ტურში ჰოლანდიელთაგან 1:7 დამცირებული ბრიტანელები მატჩის მიწურულს გამოცოცხლდნენ, თუმცა გამარჯვების გოლის გატანა ვერ მოახერხეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 13:2 | 9 |
| უელსი | 5 | 2 | 1 | 2 | 13:10 | 7 |
| ბელგია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| თურქეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 8:2 | 4 |
| სან მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 0:21 | 0 |

## VIII ჯგუფი

### მაკედონია 0:3 რუმინეთი

რუმინელებმა სკოპიეში გამარჯვებით, ჯგუფში სამი თამაშიდან ცხრა ქულას მიაღწიეს და ჯერჯერობით უდანაკარგოდ მიდიან. სამივე გოლი „ბარსელონაში" გამოწრთობილმა პოპესკუმ გაიტანა.

მასპინძლები დაცვაში აშკარა შეცდომებით თამაშობდნენ. პოპესკუს პირველი და მეორე გოლი შესვენებამდე გავიდა; მესამე კი ბოლო წუთზე პენალტით დაამატა. მომდევნო შეხვედრას რუმინელები მარტში შინ ლიხტენშტაინთან გამართავენ და, როგორც ხედავთ, უდანაკარგო სვლის გასაგრძელებლად ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:0 | 9 |
| ირლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:0 | 7 |
| მაკედონია | 5 | 2 | 1 | 2 | 15:8 | 7 |
| ლიტვა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| ისლანდია | 4 | 0 | 2 | 2 | 1:7 | 2 |
| ლიხტენშტაინი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:21 | 0 |

## IX ჯგუფი

### პორტუგალია 0:0 გერმანია

**პორტუგალია: ბაია, სეკრეტარიუ, კოუტუ, ჰელდერი, დიმაში, პაულინიუ, სანტუში, ოსიანუ, ფიგუ, რუიკოშტა, ბარუში (კადეტე 76), პინტუ**
**გერმანია: კეპკე, ზამერი, კოლერი, როიტერი, ბაბელი (ტარნატი 85), აილტსი, ციგე, ბახლერი (კირხტენი 70), მიოლერი, ბობიჩი, კლინსმანი**

მასპინძლები პირველ ტაიმშიც გულმარდად თამაშობდნენ და მეორეშიც მეტი რწმენით შეუტიეს სტუმართა კარს, მაგრამ ანდრეას კეპკეს ოსტატობამ თავისი ჰქნა. „ბენფიკას" თავდამსხმელმა ჟოაო ვიეირა პინტუმ, ერთ ეპიზოდში, საუცხოო დრიბლინგს საჯარიმოდან დარტყმაც მიაყოლა, მაგრამ კეპკემ აქაც მონახა გამოსავალი. ეს მომენტი დაძაბულ შეხვედრაში ყველაზე მწვავე იყო, თუმცა იმას არ ნიშნავს, რომ თავის მხრივ გერმანელები უშანსოდ იყვნენ.

— მეორე ნახევარში კარგად ვითამაშეთ. ვხედავდით, რომ სტუმრები იღლებოდნენ და ეს ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებდა — უთხრა პორტუგალიის მწვრთნელმა არტურ ჟორჟემ ჟურნალისტებს.

გერმანელებმა ჩვეულ, ანგარიშიან ფეხბურთს რომ თამაშობდნენ, პირველ ტაიმში რამდენიმე ნახევრადმომენტი შექმნეს. იურგენ კლინსმანმა ერთხელ ცეცხლი დაანთო, ფრედი ბობიჩს ჩააწოდა, თუმცა შტუტგარტელის თაური მხოლოდ კუთხურით დასრულდა.

— შედეგით კმაყოფილი ვარ. პირველ ნახევარში მომენტები ჩვენც შევქმენით, მაგრამ მეორეში პორტუგალიამ შეგვიტია და დაამტკიცა, რომ კარგი გუნდია. მეორე ტაიმი ამაღელვებელი იყო — განაცხადა გერმანელების თავკაცმა ბერტი ფოგტსმა.

### ჩრდ. ირლანდია 2:0 ალბანეთი

**ჩრდ. ირლანდია: რაიტი, ნოლანი, ტეგარტი, ჰილი, ჰანტერი, ჰორლოკი, მოროუ (მაკმაჰონი 72), ლომასი, დაუი (ქუინზი 90), ლენონი, ჰიუზი**
**ალბანეთი: ნალბანი, დედე (ტოლე 35), შულკუ, ფაკაი, ფ. ვატა, მალკო, პაკო, ჰაქსი (ფრაშოლი 37), კოლა, რაკლი, რ. ვატა**
**გოლი: დაუი (12, 21)**

„ვესტ ჰემის" თავდამსხმელმა იან დაუიმ, პრემიერლიგაში აგერ უკვე ნახევარი სეზონია რომ ვერ გაუტანია, ორი ადრიანი გოლი შეაგდო და თამაშიც იქ დაამთავრა. ახლა დაუის ნაკრებში ჩატარებული 39 შეხვედრიდან ათჯერ აქვს მეტოქის კარი მონადირებული.

მე-12 წუთი იყო, როდესაც მან სტივ ლომასის ჩაკიდულ ბურთს თაურით ადგილი ალბანელთა კარის ბადეში მიუჩინა, ცხრა წუთის შემდეგ კი გვარიან ალიაქოთში მეორის გატანაც მოახერხა.

მეორე ტაიმში დაუის ჰეთ-თრიქის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ძელი დაუხვდა ჯიუტად.

— ჩინებული გუნდური თამაში გამოგვივიდა. ვიცოდით, ადრეული გოლი ყველაფერს ნათელს მოჰფენდა და ასეც მოვიქეცით — თქვა მატჩის გმირმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 5 | 2 | 2 | 1 | 5:2 | 8 |
| უკრაინა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ჩრდ. ირლანდია | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| გერმანია | 3 | 1 | 2 | 0 | 6:2 | 5 |
| სომხეთი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:7 | 3 |
| ალბანეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

# სამხრეთ ამერიკა

### ვენესუელა 0:2 კოლუმბია

**გოლი: ბერმუდესი (7), ვალენსიანო (50)**

35 წლის კარლოს ვალდერამა არ ბერდება, ახლა ისეთ ფორმაშია, მთელი კარიერის მანძილზე რომ არ ყოფილა. მისი გონივრული წინამძღოლობით, შეჯიბრებაში დაუმარცხებელმა კოლუმბიელებმა მორიგი თამაში მოიგეს. მე-7 წუთზე ანგარიში ცენტრალურმა მცველმა ხორხე ბერმუდესმა თაურით გახსნა, მეორე ტაიმის მე-5 წუთზე კი ივან ვალენსიანომ მეორე შეაგდო.

კოლუმბიელებს არც „ნიუკასლ იუნაიტედის" თავდამსხმელის ფაუსტინო ასპრილიას არყოლა დატყობიათ მაინცდამაინც. ვენესუელელთა ახალმა მწვრთნელმა ედუარდო ბორერომ კი თითქმის ნახევარი გუნდი გამოცვალა, თავდასხმაში კარგადაც ათამაშა, მაგრამ დაცვას ჯერჯერობით ვერაფერი მოუხერხა.

### ბოლივია 0:0 პარაგვაი

პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის შილავერი საერთოდ გოლების გატანითაა ცნობილი, მაგრამ ბოლივიაში ორიგინალურ ქცევას თავი დაანება, კარს არ მოშორდა და დიდებულადაც ითამაშა.

თუმცა არა... ერთხელ, 39-ე წუთზე შილავერი მაინც გაიჭრა ჯარიმის დასარტყმელად, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა.

### არგენტინა 1:1 ჩილე

**არგენტინა: კავალერო, ვივასი (ლოპესი 66), აიალა, ბერიზო, სორინი, ძანეტი, ალმეიდა, მორალესი (კამპოსი 66), ალბორნოსი (ბალბო 39), ორტეგა, ბატისტუტა**
**ჩილე: ტაპია, კ. კასტანედა (კონტრერასი 64), ფუენტესი, მარგასი, რეიესი, შავარია, მორა, კორნეხო, ვ. კასტანედა, როზენტალი (მირანდა 46), სალასი (სამორანო 78)**
**გოლი: კორნეხო (49), ბატისტუტა (70)**

მე-40 წუთზე ჩილელმა მცველმა ლუის შავარიამ მეორე ყვითელი მიიღო და სტუმრები უმცირესობაში დარჩნენ. მიუხედავად ამისა, ისინი კორნეხოს გოლით დაწინაურდნენ, თუმცა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა 70-ე წუთზე პენალტი მოინადირეს და გაბრიელ ბატისტუტამ წონასწორობა აღადგინა.

### ურუგვაი 2:0 პერუ

მასპინძლებმა პირველსავე ტაიმში მიაღწიეს სასურველ შედეგს. მეორე წუთზე პაოლო მონტერომ გახსნა ანგარიში, ტაიმის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე კი პაბლო ბენგოეჩეამ 2:0 გახადა. თვალსასეირო მატჩის ერთადერთი „შავი ლაქა" 83-ე წუთზე ურუგვაელი მარსელო ოტეროს გაძევება იყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლუმბია | 7 | 5 | 2 | 0 | 14:5 | 17 |
| პარაგვაი | 5 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 11 |
| არგენტინა | 6 | 2 | 3 | 1 | 10:7 | 9 |
| ეკვადორი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:7 | 9 |
| ურუგვაი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 9 |
| ბოლივია | 6 | 2 | 2 | 2 | 9:7 | 8 |
| პერუ | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | 6 |
| ჩილე | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | 5 |
| ვენესუელა | 7 | 0 | 1 | 6 | 5:21 | 1 |

# კონკაკაფის ზონა

### აშშ 2:1 კოსტა რიკა

### პანამა 3:1 კუბა

# აზიის თასი

**მეოთხედფინალები: საემიროები — ერაყი 1:0, ქუვეითი — იაპონია 2:0**

## ფეხბურთის რუკასთან



არგენტინელმა კარლოს ბილარდომ, რომელმაც ეს ქვეყანა 1986 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახადა, განაცხადა, რომ ტოვებს „ბოკა ხუნიორსს". მისი თქმით, იგი ესაუბრა კლუბის პრეზიდენტს მაურისიო მარჩის და ამჯობინა კლუბის დატოვება. ბილარდო „ბოკას" იანვარში ჩაუდგა სათავეში, თუმცა კლუბმა პროგრესი ვერ განიცადა. მისი გადადგომა კი გამოიწვია შინ „რივერ პლეიტთან" განცდილმა მარცხმა.

**იტალიაში, კერძოდ, მილანში, „ინტერის" გულშემატკივრებმა სტადიონის ფანჯრები ჩაამტვრიეს მას შემდეგ, რაც მათი საყვარელი კლუბი 3:4 დამარცხდა „სამპდორიასთან". პოლიციამ რამდენიმე ხულიგანი დააპატიმრა.**

ბრაზილიის ჩემპიონის წოდება მოიპოვა „გრემიომ": ფინალის საპასუხო შეხვედრაში ამ კლუბმა 2:0 დაამარცხა „პორტუგეზა". მართალია, ახალ ჩემპიონს პირველი მატჩი ზუსტად ასეთივე ანგარიშით ჰქონდა წაგებული, მაგრამ შედარებით კარგი მაჩვენებლის გამო ჩემპიონობა მას მიეკუთვნა. ჩემპიონატის დასაწყისში „პორტუგეზას" სერიოზულ კონკურენტად არავინ მიიჩნევდა, არადა, გუნდმა, რომლის საუკეთესო შედეგი აქამდე მეშვიდე ადგილი იყო, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, მისი თავდამსხმელი როდრიგო კი ჩემპიონატის აღმოჩენა გახდა. ჩემპიონატის ბომბარდირის წოდება მოიპოვა „გრემიოს" პაულუ ნუნეშმა 17 გატანილი ბურთით. ამ შეხვედრაში პირველი გოლიც სწორედ მან გაიტანა.

**იტალიელ ვარსკვლავს რობერტო ბაჯოს განზრახული აქვს „მილანის" დატოვება. მიზეზად იგი საკის ასახელებს. „არ გამოვრიცხავ „ინტერში" გადასვლას" — განაცხადა ბაჯომ მეორე დღეს სპორტული გაზეთების პირველ გვერდებზე ეწერა: „ბაჯო წყვეტს კავშირს საკისთან", „ბაჯო — საკის საკმარისია, მე მეყო!" მილანელის დატოვების შემდეგ ბაჯომ თქვა, რომ ტრანსფერზე საუბარი ჯერ ადრეა, რადგან ბერლუსკონისთან არ უსაუბრია.**

იტალიაში დატრიალებულმა „ბაჯოს ამბავმა" მთელი საფეხბურთო ევროპა ააფორიაქა. გარდა იმისა, რომ ბაჯოთი „პარმა", „ნაპოლი", „ფიორენტინა" და „ინტერი" დაინტერესდნენ, მისი გადაბირების სურვილი გაუჩნდათ ინგლისურ კლუბებსაც. „ტოტენჰემი" 5 მილიონ გირვანქას ჩამოდის იტალიელის შესაძენად, ამდენსვეა ყაბულს „იუნაიტედი". დაინტერესდა „ნიუკასლიც" — წლის მიწურულს ასპრილიას არყოფნით დასუსტებული კლუბი ერთობ მოწადინებულია ბაჯოს შესაძენად. „მილანმა" ბაჯოს თაობაზე წინადადება მიიღო იაპონიის ჯეი-ლიგის კლუბებისგანაც. შეიძლება ითქვას, რომ „მილანმა" იზარალა — კლუბმა ბაჯოში „იუვენტუსს" 15 მილიონი დოლარი გადაუხადა, მოთამაშის ახლანდელი ფასი კი მხოლოდ 5 მილიონია. სეზონის ბოლოს ბერლუსკონიმ შესაძლოა გროშიც ვერ მიიღოს მასში, რადგან კონტრაქტს ვადა გაუდის და მოქმედებას იწყებს ბოსმანის წესი.

## ინგლისი

### XVII ტური

უქმეებზე ამ ტურის მხოლოდ სამი მატჩი ჩატარდა. ამას გაზაფხულზე დაგეგმილი კიდევ ერთი შეხვედრა დაემატა. მოკლედ, პრემიერლიგაში სულ ოთხი ახალი შედეგი დაფიქსირდა.

**უიმბლდონი 1:0 ბლექბერნი**

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, კემბელი, ბლექველი, ერლი, ლეონარდსენი, ეკოკუ (ჰოლდსუორსი 76), გეილი, პერი, ფიარი, ერდლი

**ბლექბერნი:** გივენი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, ლე სო, გალაჰერი, სატონი, ბოჰინენი, ვილკოქსი, მაკკინლი, ბერგი

**გოლი:** ჰოლდსუორსი (85)

მატჩმა, რატომღაც, სპეციალისტთა დიდი ყურადღება მიიპყრო: გლენ ჰოდლთან ერთად იყვნენ მისი კოლეგები კრეიგ ბრაუნი შოტლანდიიდან და ეგილ ოლსენი ნორვეგიიდან. უპირატესობა „უიმბლდონისა" იყო, სტუმართა დაცვას ხიფათს ხიფათზე ატეხდნენ გეილი, პერი და ეკოკუ თუმცა პრემიერლიგაში პირველად მოთამაშე გივენმა თავი არ შეირცხვინა. ისიც სათქმელია, რომ თამაში საკმაოდ კორექტული გახლდათ, უხეშობა არ ყოფილა. მეორე ნახევარში „ბლექბერნმა", უფრო ლე სოს წყალობით, თამაში გაათანაბრა და მეტოქეები ახლა მონაცვლეობით უტევდნენ ერთურთს, მაგრამ გოლი არ ჩანდა. მატჩიც თითქოს ასე, უგოლოდ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ შეცვლაზე შესულმა ჰოლდსუორსმა ათი მეტრიდან გადამწყვეტი გოლი გაიტანა. „უიმბლდონმა" უკვე 19 მატჩია, მარცხი არ იცის.

**ლიდსი 0:0 ტოტენჰემი**

**ლიდსი:** მარტინი, კელი, პალმერი, ბიზლი, რადებე, შეილი, ფორდი (ჯექსონი 64), ბოუერი, ველესი (კიუველი 75), დინი, რაში

**ტოტენჰემი:** უოქერი, კარი, კალდერვუდი, კემპბელი, უილსონი, ფოქსი, ჰოუელსი, ნილსენი, სინტონი, შერინგემი, ივერსენი

ლონდონელთა ნახევარდაცვამ მასპინძლებს მოედნის შუაგული აართვა და ამიტომაც ბურთი ძირითადად „ლიდსის" კარის სიახლოვეს ტრიალებდა. სტუმართაგან აქტიურობდა რადებე, თუმცა მარტო ის რას გახდებოდა და ტაიმის ბოლოს იგიც ჩრდილში მოექცა. ერთადერთი საგოლე მომენტი ტაიმში 39-ე წუთზე შექმნეს ბოუერმა და ვალესმა, თუმცა უოქერმა ივაჟკაცა. მეორე ნახევრის დასაწყისში ჰოუელსის თავური ძელს მოხვდა. გააქტიურდა შერინგემიც, რომელიც მარცხნიდან ავიწროებდა მცველებს. შეხვედრის მიწურულს რაშს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ...

**სანდერლენდი 3:0 ჩელსი**

**სანდერლენდი:** პერესი, ჰოლი, კუბიკი, მელვილი, ორდი, კელი, ბოლი, ბრეისველი, გრეი (აგნიუ 65), რეი (ბრიჯიზი 81), რასელი

**ჩელსი:** გროდასი, გულიტი, კლარკი, მეიერსი (მიუზი 60), უაიზი, დაბერი, ბარლი (დი მატეო 45), მინტო, სინკლერი, ნიუტონი, ძოლა

**გოლი:** დაბერი (30 საკ. კარში), ბოლი (48), რასელი (67)

„სანდერლენდის" 20 ათასმა ქომაგმა „ჩელსის" განადგურებით გაიხარა. ვიალის და ლებეფის არყოფნის მიუხედავად „ჩელსი" დასაწყისიდანვე უტევდა, თუმცა უშედეგოდ. 30-ე წუთზე გაშვებულმა გოლმა კი „ჩელსი" აშკარად გატეხა. კრეიგ რასელმა დაარტყა, ყველა ხედავდა, რომ ბურთი კარს სცდებოდა, თუმცა დაბერიმ მოგერიება გადაწყვიტა და... საკუთარ კარში ჩაჭრა. „სანდერლენდმა" შეტევები გაამძაფრა, ხან გროდასი, ხანაც ძელი იგერიებდნენ რეის, რასელის და სხვათა დარტყმებს. მეორე ნახევარი ხეირიანად არც დაწყებულიყო, როცა კევინ ბოლმა პრემიერლიგაში პირველი გოლი შეაგდო. ამის მერე „ჩელსი" მთლად მოიშალა.

**ლივერპული 5:1 მიდლსბრო**

**ლივერპული:** ჯეიმსი, მაკატირი, რაიტი, ბები, მაკმანამანი, კოლიმორი, ფაულერი, ბარნსი, რადოკი, ტომასი, ბიორნებიუ

**მიდლსბრო:** უოლში, კოქსი, უაიტი, ემერსონი, მასტო, რავანელი, ვილანი, სტამპა (კემპბელი 57), ჰინეტი, ლიდლი, ფიორტოფტი

**გოლი:** ფაულერი (1, 28, 77, 85), ბიორნებიუ (45), ფიორტოფტი (75)

ეს მასპინძელთა 21 წლის ფორვარდის რობი ფაულერის ბენეფისი იყო. მან დაუნდობლად გააცამტვერა „მიდლსბროს" დაცვა. ბრიან რობსონმა ფაულერს ბრაზილიელი ემერსონი მიუჩინა, მაგრამ ამაოდ. რობიმ 28-ე წამზევე დააწინაურა „ლივერპული". მანამდე მას პრემიერლიგის 164 შეხვედრაში 98 გოლი ჰქონდა გატანილი, ამ შეხვედრაში კი ასეულსაც




მიდლსბროელი მასტო მაკმანამანის და რადოკის გავლის ლამობს

გადააბიჯა. მატჩის შემდეგ თავდამსხმელმა განაცხადა, რომ მიზნად რაშის რეკორდის — 166 გოლის დამხობა აქვს დასახული. საერთოდ არ ჩანდა რავანელი, რომელიც „მთლად გააჩუმეს" ლივერპულელებმა. პირველი ტაიმის შუაში ფაულერმა თავისი მე-100 გოლი გაიტანა, როცა კოლიმორის დარტყმულს დაამატა. წითლების უპირატესობას უკვე აშკარა ეთქმოდა. ტაიმი მთავრდებოდა, ბიორნებიუმ უოლშს მესამედ რომ გამოატანინა ბურთი კარიდან. მეორე ნახევრის დასაწყისში „ლივერპულმა" ოდნავ მოუკლო შეტევებს, თუმცა არც „მიდლსბროს" მოუკლავს თავი. 70-ე წუთიდან კი მასპინძლებმა კარს მიაჯაჭვეს ბრაიან რობსონის ბიჭები. 75-ე წუთზე ფიორტოფტმა, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, პრესტიჟის გოლი გაიტანა და ორიოდ წუთით შეამცირა ანგარიშში სხვაობა. 77-ე წუთზე კი კვლავ ფაულერმა ივარგა და „ჰეთ-თრიქი" შეასრულა. სტუმრები საბოლოოდ გატყდნენ. მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ფაულერმა თავისი მეოთხე და წითლების მეხუთე გოლი გაიტანა. ასე გაათითურეს ლივერპულელებმა „მიდლსბრო" იმ მატჩში, რომელიც გაისად, 29 მარტს უნდა გამართულიყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 17 | 10 | 5 | 2 | 33:16 | 35 |
| ლივერპული | 17 | 10 | 4 | 3 | 31:15 | 34 |
| უიმბლდონი | 17 | 10 | 4 | 3 | 30:17 | 34 |
| ნიუკასლი | 16 | 9 | 3 | 4 | 26:17 | 30 |
| ასტონ ვილა | 17 | 9 | 3 | 5 | 22:15 | 30 |
| მანჩესტერი | 16 | 7 | 6 | 3 | 31:24 | 27 |
| ჩელსი | 17 | 6 | 7 | 4 | 25:26 | 25 |
| ევერტონი | 16 | 6 | 6 | 4 | 25:20 | 24 |
| ტოტენჰემი | 17 | 7 | 3 | 7 | 17:17 | 24 |
| შეფილდი | 16 | 6 | 6 | 4 | 17:18 | 24 |
| დერბი | 16 | 5 | 7 | 4 | 19:19 | 22 |
| ლესტერი | 17 | 6 | 3 | 8 | 17:22 | 21 |
| ლიდსი | 17 | 6 | 3 | 8 | 15:20 | 21 |
| სანდერლენდი | 17 | 5 | 5 | 7 | 17:21 | 20 |
| ვესტ ჰემი | 17 | 4 | 6 | 7 | 15:22 | 18 |
| მიდლსბრო | 18 | 3 | 6 | 9 | 21:33 | 15 |
| ბლექბერნი | 17 | 2 | 7 | 8 | 16:22 | 13 |
| საუთჰემპტონი | 17 | 3 | 4 | 10 | 24:31 | 13 |
| ნოტინგემი | 16 | 1 | 7 | 8 | 12:25 | 10 |
| ქოვენთრი | 16 | 1 | 7 | 8 | 10:23 | 10 |

## პირველი დივიზიონი

23-ე ტური. ბარნსლი — ტრანმერი 3:0, ბოლტონი — იფსვიჩი 1:2, ჩარლტონი — პორტ ვეილი 1:3, ნორვიჩი — კრისტალ პალასი 1:1, ოქსფორდი — შეფილდ იუნაიტედი 4:1, პორტსმუთი — ჰადერსფილდი 3:1, ქუინზ პარკი — საუთენდი 4:0, სტოკ სიტი — სვინდონი 2:0, ვულვერჰემპტონი — ოლდემი 0:1

## იტალია

### XIII ტური

**უდინეზე 2:0 ფიორენტინა**

15 000 მაყურებელი

**უდინეზე:** ტურჩი, ჰელვეგი, ალ.ორლანდო (ბერტოტო 46), ჯანიკედა, კალორი, პიერინი, კაპიოლი, დეზიდერი (გარგო 68), ამორუზო, სტროპა, პოჯი (სერჯო 80)

**ფიორენტინა:** ტოლდო, ფალკონე, პუშედუ, კოისი (მ.ორლანდო 63), პადალინო, ფირიკანო (პიაჩენტინი 46), ბიჯიკა, შვარცი, ოლივეირა, რუი კოშტა, ბაიანო

**გოლი:** ამორუზო (18, 28)

**გაფრთხილება:** ჯანიკედა, ჰელვეგი, სერჯო, შვარცი, ოლივეირა

**ატალანტა 4:0 პიაჩენცა**

15 939 მაყურებელი

**ატალანტა:** პინატო, როტელა, მირკოვიჩი, ბონაჩინა, სოტილი (ბონფანტი 79), კარერა, სგრო, გალო, ინძაგი, მორფეო (პერსონი 65), ლენტინი (პიზანი 71)

**პიაჩენცა:** ტაიბი, პოლონია, ტრამეცანი, დელი კარი, დი ფრანჩესკო, ლუჩი, ვალოტი, ტენტონი (მორეტი 60), შიენცა, პინი (ლუიზო 46), პიოვანი (ვალტოლინა 75)

**გოლი:** ინძაგი (15, 33), როტელა (54), სგრო (65)

**გაფრთხილება:** მორფეო, სოტილი, ბონაჩინა, ინძაგი, ტრამეცანი

**კალიარი 2:2 ბოლონია**

15 000 მაყურებელი

**კალიარი:** პასკოლო, პანკარო, ბეტარინი (ლონსტრუპი 61), სკუკუჯა, ვეგა, მინოტი, ბიზოლი, სანა, ტოვალიერი (რომერო 74), კოცა, მუცი

**ბოლონია:** ანტონიოლი, კარდონე, პარამატი, მაგონი, ტორიზი, დე მარკი, ნერვო (ბრეშანი 61), სკაპოლო (მანგონე 74), კოლივანოვი, ბერგამო (შალიმოვი 46), ანდერსონი

**გოლი:** კოლივანოვი (12), მუცი (19), პანკარო (21 პ), პასკოლო (33 საკ. კარში)

**გაფრთხილება:** სკუკუჯა, ბიზოლი, პარამატი, მაგონი, ტორიზი

**ინტერი 3:4 სამპდორია**

45 000 მაყურებელი

**ინტერი:** პალიუკა, ანგლომა, ბერგომი, ინსი, ფესტა, ფრეზი, ბერტი, სფორცა (ვინტერი 67), ბრანკა, ჯორკაეფი, განცი (პისტონე 78)

**სამპდორია:** ფერონი, საკეტი, პეზარეზი, ფრანჩესკეტი, მანინი, მიხაილოვიჩი, კარემბუ (კარპარელი 76), ვერონი, მონტელა (ევანი 91), მანჩინი, ინვერნიცი (სალსანო 48)

**გოლი:** მონტელა (7, 56), ბრანკა (13, 46), ბერტი (43), ფრანჩესკეტი (85), მანჩინი (89)

**გაფრთხილება:** პალიუკა, ფრეზი, კარემბუ, ფრანჩესკეტი, მანჩინი

**რომა 1:0 ნაპოლი**

52 224 მაყურებელი

**რომა:** სტერჩელე, ტომაზი, კარბონი, პეტრუცი, ალდაირი, ლანა, დი ბიაჯო (ბერნარდინი 20), ტერნი, მორიერო (რომონდინი 87), ტოტი (ანონი 79), დელვეკიო

**ნაპოლი:** ტალიალატელა, ბალდინი, მილანეზე, ბორდინი (პოლიკანო 84), კოლონეზე, ბოლსიანი, ტურინი, პეკია, კაჩა (ბეტო 70), კრუზი, ალოეტი (კაიო 70)

**გოლი:** ალდაირი (78)

30-ე წუთზე დელვეკიომ პენალტი ვერ გაიტანა

**გაფრთხილება:** კარბონი, ლანა, მორიერო, ბორდინი, კაჩა

**პერუჯა 1:2 ლაციო**

20 000 მაყურებელი

**პერუჯა:** კოჩიჩი, კასტელინი, დი კოარა (როკო 86), ჯორეტი, დიჩარა, მატრეკანო, გაუტიერი, კრეკი, პიცო, ჯუნტი, პაპაიჩი (პაგანო 84)

**ლაციო:** მარკეჯანი, ნესტა (გოტარდი 31), ფავალი (ვენტურინი 90), ოკონი, შამოტი, ბრანდონი, რამბაუდი, ფუზერი, პროტი, მარკოლინი (პიოვანელი 81), სინიორი

**გოლი:** რამბაუდი (72), გაუტიერი (79), სინიორი (81პ)

38-ე წუთზე ჯუნტიმ პენალტი ვერ გაიტანა

**გაფრთხილება:** კრეკი, ჯუნტი, გრანდონი, ფავალი, შამოტი, რამბაუდი

**გაძევება:** გალეონე („პერუჯას" მწვრთნელი, 59)

**იუვენტუსი 3:2 ვერონა**

15 000 მაყურებელი

**იუვენტუსი:** პერუცი, დი ლივიო, ტორიჩელი, დეშამპი, ფერარა (ჯულიანო 66), პორინი, ლომბარდო (ვიერი 32), ტაკინარდი, პადოვანო (ვეხოტო 80), ზიდანი, დელ პიერო

**ვერონა:** გვარდალბენი, ფატორი, ვანოლი (ა. პაგანინი 40), ბაკი, სივილია, ბარონი, ამეტრანო (ორლანდინი 75), ფიკადენტი, მანიერო (დე ვიტისი 77), ჯუნტა, ძანინი

**გოლი:** მანიერო (25, 44), პორინი (I ტაიმის 47-ე), დელ პიერო (65პ, 74)

**გაფრთხილება:** დელ პიერო, სივილია, ვანოლი, ბაკი

**რეჯანა 0:3 მილანი**

20 000 მაყურებელი

**რეჯანა:** ბალოტა, შაცი, სკენარდი, ბაიერსდორფერი (პაშეკუ 56), ფგალი, გრიუნი, მაცოლა, პედონე, ვალენსია, დე ნაპოლი (საბეუ 71), სიმუტენკოვი

**მილანი:** პაგოტო, პანუჩი (ტასოტი 86), მალდინი, ალბერტინი, ვერხოვოდი, ბარეზი, ბობანი, დესაი, ვეა, ბლომკვისტი (ამბროზინი 62), სიმონე (დუგარი 72)

**გოლი:** ალბერტინი (3, 70პ, 77 პ)

**გაფრთხილება:** ბაიერსდორფერი, სკენარდი, პანუჩი

**გაძევება:** გალი (76)

**ვიჩენცა 1:1 პარმა**

17 000 მაყურებელი

**ვიჩენცა:** მონდინი, სარტორი, ბელოტი, ლოპესი, დიგნაციო, როსი (მენდესი 69), დი კარლო, მაინი, ვივიანი (ამერინი 87), ამბროზეტი (ბეგეტო 42), მურჯიტა

**პარმა:** ბუფონი, ზე მარია, აპოლონი, ტურამი, ბენარივო, სტანიჩი, სენსინი, ბრამბილა (კრესპო 46), დ. ბაჯო, კრიპა (სტრადა 69), კიეზა (მელი 69)

**გოლი:** მაინი (50), ბენარივო (73)

**გაფრთხილება:** აპოლონი, კიეზა, ბენარივო, დი კარლო, სტანიჩი

**გაძევება:** დიგნაციო (38)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 13 | 8 | 4 | 1 | 20:10 | 28 |
| ვიჩენცა | 13 | 6 | 5 | 2 | 22:13 | 23 |
| მილანი | 13 | 6 | 3 | 4 | 22:15 | 21 |
| ბოლონია | 13 | 6 | 3 | 4 | 22:18 | 21 |
| ინტერი | 13 | 5 | 6 | 2 | 19:15 | 21 |
| რომა | 13 | 5 | 5 | 3 | 21:16 | 20 |
| ნაპოლი | 13 | 5 | 5 | 3 | 17:17 | 20 |
| სამპდორია | 13 | 5 | 4 | 4 | 20:14 | 19 |
| ლაციო | 13 | 5 | 4 | 4 | 14:12 | 19 |
| ფიორენტინა | 13 | 4 | 6 | 3 | 19:16 | 18 |
| უდინეზე | 13 | 5 | 3 | 5 | 17:17 | 18 |
| პერუჯა | 13 | 5 | 1 | 7 | 18:23 | 16 |
| პიაჩენცა | 13 | 4 | 4 | 5 | 14:20 | 16 |
| პარმა | 13 | 3 | 6 | 4 | 13:14 | 15 |
| ატალანტა | 13 | 3 | 5 | 5 | 16:21 | 14 |
| კალიარი | 13 | 2 | 5 | 6 | 16:21 | 11 |
| ვერონა | 13 | 1 | 4 | 8 | 13:26 | 7 |
| რეჯანა | 13 | 0 | 5 | 8 | 10:25 | 5 |

## სერია B

მე-14 ტური. ჯენოა — ბრეშია 4:0; ბარი — ვენეცია 3:1; დი სანგრო — ლუკეზე 0:0; კიევო — ტორინო 1:0; პალერმო — რეჯინა 1:0; კოზენცა — პესკარა 1:1; კრემონეზე — ჩეზენა 1:0; ემპოლი — ფოჯა 3:0; რავენა — პადოვა 1:1; სალერნიტანა — ლეჩე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჩე | 14 | 9 | 4 | 1 | 26:15 | 31 |
| პესკარა | 14 | 7 | 5 | 2 | 21:12 | 26 |
| ბარი | 14 | 5 | 8 | 1 | 20:10 | 23 |
| ბრეშია | 14 | 6 | 5 | 3 | 18:14 | 23 |
| რავენა | 14 | 5 | 6 | 3 | 17:15 | 21 |
| ემპოლი | 14 | 6 | 3 | 5 | 17:17 | 21 |
| ჯენოა | 13 | 4 | 8 | 1 | 19:10 | 20 |
| პადოვა | 14 | 5 | 5 | 4 | 16:16 | 20 |
| ლუკეზე | 14 | 4 | 7 | 3 | 12:10 | 19 |
| ტორინო | 14 | 5 | 4 | 5 | 17:17 | 19 |
| კიევო | 14 | 5 | 4 | 5 | 16:16 | 19 |
| პალერმო | 14 | 4 | 6 | 4 | 13:14 | 18 |
| ფოჯა | 14 | 4 | 4 | 6 | 15:21 | 16 |
| კოზენცა | 14 | 3 | 6 | 5 | 13:18 | 15 |
| სალერნიტანა | 14 | 3 | 6 | 5 | 8:13 | 15 |
| ვენეცია | 14 | 3 | 4 | 7 | 15:19 | 13 |
| ჩეზენა | 14 | 2 | 6 | 6 | 12:15 | 12 |
| რეჯინა | 14 | 2 | 6 | 6 | 10:16 | 12 |
| კრემონეზე | 14 | 3 | 3 | 8 | 8:15 | 12 |
| დი სანგრო | 13 | 3 | 2 | 8 | 5:16 | 11 |

## საფრანგეთი

22-ე ტური. მონაკო — კანი 1:0; ნანტი — პარი სენ-ჟერმენი 0:1; ნანსი — ლიონი 2:3; ლილი — ბასტია 1:2; ბორდო — რენი 2:0; სტრასბური — მეცი 0:1; კაენი — ლე ავრი 4:0; გინგამი — ნიცა 0:1; მონპელიე — ლანსი 1:0; მარსელი — ოსერი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 22 | 13 | 6 | 3 | 37:16 | 45 |
| პ.ს.ჟ. | 22 | 12 | 7 | 3 | 34:15 | 43 |
| ბასტია | 22 | 11 | 6 | 5 | 30:23 | 39 |
| ბორდო | 22 | 10 | 7 | 5 | 32:23 | 37 |
| ოსერი | 22 | 9 | 8 | 5 | 28:16 | 35 |
| მეცი | 22 | 9 | 8 | 5 | 23:17 | 35 |
| სტრასბური | 22 | 11 | 1 | 10 | 27:30 | 34 |
| ლიონი | 22 | 8 | 8 | 6 | 30:33 | 32 |
| ნანტი | 22 | 7 | 10 | 5 | 41:25 | 31 |
| მარსელი | 22 | 7 | 9 | 6 | 22:18 | 30 |
| გინგამი | 22 | 7 | 8 | 7 | 18:19 | 29 |
| რენი | 22 | 8 | 4 | 10 | 25:30 | 28 |
| ლილი | 22 | 7 | 7 | 8 | 23:32 | 28 |
| ლე ავრი | 22 | 6 | 7 | 9 | 22:25 | 25 |
| კანი | 22 | 6 | 7 | 9 | 14:23 | 25 |
| ლანსი | 22 | 7 | 4 | 11 | 25:35 | 25 |
| მონპელიე | 22 | 4 | 9 | 9 | 18:25 | 21 |
| კაენი | 22 | 4 | 7 | 11 | 16:26 | 19 |
| ნანსი | 22 | 3 | 7 | 12 | 16:29 | 16 |
| ნიცა | 22 | 4 | 4 | 14 | 18:39 | 16 |

## შოტლანდია

მე-17 ტური. აბერდინი — მაზერველი 0:0; ჰიბერნიანი — დანდი იუნაიტედი 1:1; კილმარნოკი — ჰარტსი 2:0; რეინჯერსი — დანფერმლაინი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 16 | 12 | 2 | 2 | 38:14 | 38 |
| აბერდინი | 17 | 8 | 5 | 4 | 30:20 | 29 |
| სელტიკი | 14 | 8 | 3 | 3 | 32:15 | 27 |
| დანდი იუნ. | 17 | 5 | 6 | 6 | 19:18 | 21 |
| ჰარტსი | 17 | 5 | 6 | 6 | 19:23 | 21 |
| დანფერმლაინი | 16 | 5 | 5 | 6 | 22:31 | 20 |
| ჰიბერნიანი | 17 | 5 | 4 | 8 | 18:28 | 19 |
| მაზერველი | 17 | 4 | 6 | 7 | 17:24 | 18 |
| რეით როვერსი | 16 | 4 | 3 | 9 | 15:27 | 15 |
| კილმარნოკი | 15 | 4 | 2 | 9 | 19:29 | 14 |

## საბერძნეთი

მე-12 ტური. პანათინაიკოსი — აეკ 2:0; ოფი — პანახაიკი 2:1; კასტორია — ედესაიკოსი 1:1; კალამატა — აპოლონი 2:2; პაოკი — პანილიაკოსი 1:1; იონიკოსი — ქსანტი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 11 | 9 | 2 | 0 | 22:4 | 29 |
| პანათინაიკოსი | 12 | 8 | 2 | 2 | 25:6 | 26 |
| ოფი | 12 | 8 | 2 | 2 | 18:8 | 26 |
| აეკ | 12 | 7 | 2 | 3 | 28:12 | 23 |
| პანილიაკოსი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:15 | 21 |
| პანახაიკი | 12 | 5 | 4 | 3 | 14:11 | 19 |
| კალამატა | 12 | 4 | 5 | 3 | 14:18 | 17 |
| ვეროია | 11 | 4 | 4 | 3 | 12:7 | 16 |
| კავალა | 11 | 4 | 4 | 3 | 9:6 | 16 |
| იონიკოსი | 12 | 4 | 3 | 5 | 12:10 | 15 |
| პაოკი | 12 | 3 | 6 | 3 | 8:12 | 15 |
| ქსანტი | 12 | 3 | 4 | 5 | 14:17 | 13 |
| აპოლონი | 12 | 3 | 2 | 7 | 13:20 | 11 |
| ედესაიკოსი | 12 | 2 | 4 | 6 | 11:17 | 10 |
| არისი | 11 | 2 | 4 | 5 | 10:18 | 10 |
| ათინაიკოსი | 11 | 2 | 2 | 7 | 7:22 | 8 |
| კასტორია | 12 | 1 | 3 | 8 | 7:21 | 6 |
| ირაკლისი | 11 | 1 | 2 | 8 | 7:24 | 5 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა

მე-16 ტურის გამოტოვებული მატჩი. ოლდენბურგი — მანჰაიმი 1:0

პირველი ათეული

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაისერსლაუტერნი | 17 | 9 | 6 | 2 | 32:11 | 33 |
| მაინცი | 17 | 7 | 7 | 3 | 29:20 | 28 |
| ჰერტა | 17 | 8 | 4 | 5 | 27:18 | 28 |
| ვოლფსბურგი | 17 | 6 | 9 | 2 | 20:11 | 27 |
| მეპენი | 17 | 6 | 8 | 3 | 22:19 | 26 |
| ფორტუნა | 17 | 6 | 6 | 5 | 30:22 | 24 |
| კიკერსი | 17 | 6 | 6 | 5 | 21:18 | 24 |
| უნტერჰახინგი | 17 | 4 | 12 | 1 | 14:12 | 24 |
| ლაიფციგი | 17 | 6 | 6 | 5 | 28:27 | 24 |
| კარლ ცაისი | 17 | 5 | 8 | 4 | 22:21 | 23 |

არქიტექტურული სტუდია
გთავაზობთ:
პროექტირება
მშენებლობა
დიზაინი
ინტერიერი
საკუთარი და საერთო
საცხოვრებელი სახლები, აგარაკები, ბანკები, ოფისები,
ავტოგასამართი სადგურები, კვების და ვაჭრობის ობიექტები,
შენობა-ნაგებობათა ფასადები,
აგრეთვე სხვა საპროექტო და
სამშენებლო სამუშაოები
ალ. ყაზბეგის გამ. №42
II კორპ, IV სართული
T: 99 03 15

# სარბიელი

## სპორტული ლატარია
## "CROCO"

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
18 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მალტა — ესპანეთი | 10,0 | 5,0 | 1,05 |
| 1:0 | 5,0 | 3,4 | 1,2 |
| 2:0 | 3,4 | 3,4 | 1,4 |
| 3:0 | 2,2 | 3,4 | 1,8 |

### იტალიის თასი. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი
18 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინტერი — იუვენტუსი | 1,9 | 2,8 | 2,8 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. 23-ე ტური
20 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — ბორდო | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| რენი — მარსელი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| ნიცა — ლილი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ოსერი — სტრასბური | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| მეცი — კაენი | 1,25 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ლე ავრი — ნანსი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| ლიონი — ნანტი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| პარი სენ-ჟერმენი — მონპელიე | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ლანსი — მონაკო | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| კანი — გინგამი | 1,7 | 2,8 | 3,3 |

### ფსონები ევროპის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში გამარჯვებაზე

| გერმანია | | თურქეთი | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი | 1,5 | გალათასარაი | 2,2 |
| დორტმუნდი | 2,5 | ტრაბზონსპორი | 2,5 |
| ლევერკუზენი | 5,0 | ფენერბაჩე | 2,5 |
| შტუტგარტი | 5,0 | ბეშიქთაში | 6,0 |
| დანარჩენი | 10,0 | დანარჩენი | 10,0 |
| **ინგლისი** | | **იტალია** | |
| ლივერპული | 2,5 | იუვენტუსი | 1,7 |
| არსენალი | 2,8 | ინტერი | 2,2 |
| ნიუკასლი | 2,8 | მილანი | 4,0 |
| მანჩესტერ იუნაიტედი | 4,0 | რომა | 6,0 |
| დანარჩენი | 10,0 | დანარჩენი | 10,0 |
| **საფრანგეთი** | | **ჰოლანდია** | |
| პარი სენ-ჟერმენი | 1,8 | ეინდჰოვენი | 1,3 |
| მონაკო | 1,8 | ფეიენოორდი | 2,8 |
| ბორდო | 6,0 | აიაქსი | 7,0 |
| ოსერი | 8,0 | დანარჩენი | 10,0 |
| ნანტი | 8,0 | **ბელგია** | |
| დანარჩენი | 10,0 | ბრიუგე | 1,7 |
| **ესპანეთი** | | სტანდარდი | 2,8 |
| ბარსელონა | 1,8 | ანდერლეხტი | 5,0 |
| რეალი | 1,8 | მუსკრონი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 | დანარჩენი | 10,0 |
| **პორტუგალია** | | **ავსტრია** | |
| პორტუ | 1,4 | რაპიდი | 1,25 |
| ბენფიკა | 2,7 | ზალცბურგი | 3,1 |
| სპორტინგი | 6,0 | ტიროლი | 5,0 |
| დანარჩენი | 10,0 | ავსტრია | 8,0 |
| **შვეიცარია** | | დანარჩენი | 10,0 |
| ქსამაქსი | 1,5 | **შოტლანდია** | |
| გრასჰოპერი | 2,0 | რეინჯერსი | 1,15 |
| სიონი | 7,0 | სელტიკი | 4,0 |
| დანარჩენი | 10,0 | დანარჩენი | 10,0 |

### ფსონები ევროპის საკლუბო ტურნირებში გამარჯვებაზე

UEFA CHAMPIONS LEAGUE — UEFA Cup Winners' Cup — UEFA CUP

| ჩემპიონთა თასი | | თასების თასი | | უეფას თასი | |
|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2,5 | ბარსელონა | 2,5 | ინტერი | 2,5 |
| მანჩესტერი | 4,5 | ლივერპული | 2,5 | ნიუკასლი | 2,5 |
| დორტმუნდი | 4,5 | პარი სენ-ჟერმენი | 4,0 | ვალენსია | 5,0 |
| აიაქსი | 5,5 | ფიორენტინა | 4,0 | მონაკო | 5,0 |
| პორტუ | 6,0 | ბენფიკა | 7,0 | ტენერიფე | 6,0 |
| ატლეტიკო | 7,0 | აეკი | 10,0 | შალკე | 8,0 |
| ოსერი | 10,0 | აიკი | 50,0 | ანდერლეხტი | 10,0 |
| რუსენბორგი | 50,0 | ბრანი | 50,0 | ბრონდბიუ | 15,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა. თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე; ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

## კალათბურთი

### ევროლიგა
X ტური. 12 დეკემბერი

**A ჯგუფი**

ლიმოჟი (საფრანგეთი) — ცსკა (რუსეთი) 83:66, პანიონიოსი (საბერძნეთი) — სტეფანელი (იტალია) 79:86, მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი) — ულქერი (თურქეთი) 71:65

**B ჯგუფი**

ტიმსისტემი (იტალია) — ციბონა (ხორვატია) 54:66, ესტუდიანტესი (ესპანეთი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 87:78, შარლერუა (ბელგია) — ალბა (გერმანია) 69:79

**C ჯგუფი**

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ბაიერი (გერმანია) 87:79, ვილერბანი (საფრანგეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 91:90, ოლიმპია (სლოვენია) — კროაცია (ხორვატია) 81:53

**D ჯგუფი**

კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — ეფეს პილსენი (თურქეთი) 68:70, კინდერი (იტალია) — ელან ბერნე (საფრანგეთი) 86:74, პარტიზანი (იუგოსლავია) — დინამო (რუსეთი) 97:64

### მეორე ეტაპი
9 იანვარი — 20 თებერვალი

E ჯგუფი: სტეფანელი, ცსკა, მაკაბი, ალბა, ოლიმპიაკოსი, შარლერუა

F ჯგუფი: ტიმსისტემი, ესტუდიანტესი, ციბონა, ულქერი, ლიმოჟი, პანიონიოსი

G ჯგუფი: პანათინაიკოსი, ოლიმპია, ვილერბანი, ელან ბერნე, კახა სან ფერნანდო, დინამო

H ჯგუფი: ეფეს პილსენი, პარტიზანი, კინდერი, ბარსელონა, კროაცია, ბაიერი

### კორაჩის თასი
მეთექვსმეტედფინალი

საპასუხო მატჩები. 11 დეკემბერი
(ფრჩხილებში — პირველი მატჩების შედეგები)

უნიკახა (ესპანეთი) — სატექსი (სლოვენია) 59:60 (90:65)
არისი (საბერძნეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) 40:31 (65:64)
ჩაიშალა ჩხუბის გამო, გამარჯვება „არისს" მიეკუთვნა
პისტოია (იტალია) — სამარა (რუსეთი) 105:76 (74:48)
ბეობანკა (იუგოსლავია) — კასტორსი (ბელგია) 98:61 (69:77)
მეისუ (თურქეთი) — ტელეკომპა (ხორვატია) 62:63 (72:70)
ტაუგრესი (ესპანეთი) — ნანსი (საფრანგეთი) 102:80 (78:84)
მაზოვშანკა (პოლონეთი) — ზ. ფარმა (იუგოსლ.) 99:84 (77:81)
პერისტერი (საბერძნეთი) — კაჯივა (იტალია) 92:81 (72:78)
კალევი (ესტონეთი) — თოფაში (თურქეთი) 63:62 (63:69)
ბანკა დე რომა (იტალია) — გრანადა (ესპანეთი) 94:65 (70:88)
ბენსტონი (ხორვატია) — ცსკ ვვს (რუსეთი) 93:71 (86:74)
სპორტინგი (საბერძნ.) — მაკაბი (რიშონი, ისრ.) 79:76 (61:62)
კასერესი (ესპანეთი) — ოვარენშე (პორტუგალ.) 102:81 (73:79)
პაოკ (საბერძნ.) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლ.) 100:87 (102:99)
ტალი (გერმანია) — ზრინიევაცი (ხორვატია) 78:80 (100:89)
ბენეტონი (იტალია) — დიჟონი (საფრანგეთი) 89:87 (87:62)

### მერვედფინალი
15 და 22 იანვარი

უნიკახა (ესპანეთი) — პისტოია (იტალია)
არისი (საბერძნეთი) — ბეობანკა (იუგოსლავია)
მეისუ (თურქეთი) — მაზოვშანკა (პოლონეთი)
ტაუგრესი (ესპანეთი) — პერისტერი (საბერძნეთი)
თოფაში (თურქეთი) — ბენსტონი (ხორვატია)
ბანკა დე რომა (იტალია) — სპორტინგი (საბერძნეთი)
კასერესი (ესპანეთი) — ზრინიევაცი (ხორვატია)
პაოკ (საბერძნეთი) — ბენეტონი (იტალია)

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

13 დეკემბერი

შარლოტ ჰორნეტსი — ფილადელფია-76 84:78, ინდიანა პეისერზი — ბოსტონ სელტიქსი 97:94, ჩიკაგო ბულზი — ნიუ ჯერსი ნეტსი 113:92, ვაშინგტონ ბულიტსი — დენვერ ნაგითსი 108:104, კლივლენდ კავალიერზი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 101:87, მინესოტა ტიმბერვულვზი — ფინიქს სანზი 108:105, ვანკუვერ გრიზლიზი — ორლანდო მეჯიქი 95:93, ლოს ანჯელეს ლეიკერზი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 120:119

14 დეკემბერი

მაიამი ჰითი — ტორონტო რეპტორზი 89:88, ატლანტა ჰოქსი — ფილადელფია-76 106:81, ნიუ იორკ ნიქსი — დენვერ ნაგითსი 89:82, კლივლენდ კავალიერზი — მინესოტა ტიმბერვულვზი 101:93, ჩიკაგო ბულზი — შარლოტ ჰორნეტსი 87:82, სან ანტონიო სფურზი — დალას მავერიქსი 106:105, მილუოკი ბაქსი — ნიუ ჯერსი ნეთსი 101:91, ჰიუსტონ როკიტსი — სიეტლ სუპერსონიქსი 109:100, იუტა ჯაზი — ორლანდო მეჯიქი 101:68, ლოს ანჯელეს კლიპერზი — საკრამენტო კინგზი 106:94

15 დეკემბერი

დეტროიტ პისტონზი — ბოსტონ სელტიქსი 99:89, ვაშინგტონ ბულიტსი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 110:102, ფინიქს სანზი — ვანკუვერ გრიზლიზი 103:84, ჰიუსტონ როკიტსი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 99:89

#### აღმოსავლეთის კონფერენცია
ატლანტიკის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 18 | 5 | 78,3 |
| ნიუ იორკი | 15 | 6 | 71,4 |
| ვაშინგტონი | 10 | 11 | 47,6 |
| ორლანდო | 9 | 10 | 47,4 |
| ფილადელფია | 7 | 15 | 31,8 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 13 | 27,8 |
| ბოსტონი | 5 | 16 | 23,8 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩიკაგო | 20 | 3 | 87,0 |
| დეტროიტი | 17 | 4 | 80,9 |
| კლივლენდი | 14 | 8 | 63,6 |
| ატლანტა | 13 | 8 | 61,9 |
| მილუოკი | 12 | 9 | 57,1 |
| შარლოტი | 12 | 10 | 54,5 |
| ინდიანა | 9 | 11 | 45,0 |
| ტორონტო | 7 | 15 | 31,8 |

#### დასავლეთის კონფერენცია
შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიუსტონი | 21 | 2 | 91,3 |
| იუტა | 18 | 3 | 85,7 |
| დალასი | 8 | 13 | 38,1 |
| მინესოტა | 8 | 15 | 34,8 |
| დენვერი | 5 | 19 | 20,8 |
| სან ანტონიო | 4 | 17 | 19,0 |
| ვანკუვერი | 4 | 20 | 17,4 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეიკერზი | 18 | 7 | 72,0 |
| სიეტლი | 16 | 9 | 64,0 |
| პორტლენდი | 13 | 11 | 54,1 |
| კლიპერზი | 9 | 14 | 39,1 |
| საკრამენტო | 8 | 15 | 34,8 |
| გოლდენ სტეიტი | 8 | 16 | 33,3 |
| ფინიქსი | 7 | 15 | 31,8 |

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

13 დეკემბერი

ბუფალო — რეინჯერზი — 0:3, ოტავა — ფინიქსი 2:4, სენტ ლუისი — ჩიკაგო 1:4, დალასი — ვანკუვერი 2:1, სან ხოსე — პიტსბურგი 0:4, ანაჰაიმი — ვაშინგტონი 5:4

14 დეკემბერი

ბოსტონი — ბუფალო 0:4, კალგარი — კოლორადო 4:1, ჰართფორდი — ფილადელფია 0:4, ლოს ანჯელესი — ვაშინგტონი 4:4, ნიუ ჯერზი — მონრეალი 3:3, ტამპა — აილენდერზი 4:1, ტორონტო — ფინიქსი 3:5, ფლორიდა — ედმონტონი 6:3

15 დეკემბერი

ოტავა — დალასი 0:4, ფილადელფია — ბოსტონი 6:0, დეტროიტი — ტორონტო 3:1, ჩიკაგო — პიტსბურგი 2:1, სენტ ლუისი — ვანკუვერი 0:8

### ევროლიგა

**B ჯგუფი**

ფერიესტადი (შვედეთი) — დინამო (რუსეთი) 1:2, ჩესკე (ჩეხეთი) — ვოლერენგენი (ნორვეგია) 2:1

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 4 | 1 | 1 | 21-11 | 9 |
| ჩესკე | 3 | 2 | 1 | 18-12 | 8 |
| ფერიესტადი | 2 | 1 | 3 | 18-18 | 5 |
| ვოლერენგენი | 1 | 0 | 5 | 9-25 | 2 |

**C ჯგუფი**

ცსკა (რუსეთი) — სლოვანი (სლოვაკეთი) 1:2, ვენა (ავსტრია) — სპარტა (რუსეთი) 3:4

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 5 | 0 | 1 | 28-14 | 10 |
| სლოვანი | 4 | 0 | 2 | 28-19 | 8 |
| ცსკა | 3 | 0 | 3 | 20-17 | 6 |
| ვენა | 0 | 0 | 6 | 12-38 | 0 |

**E ჯგუფი**

ლუკო (ფინეთი) — ფრელუნდა (შვედეთი) 3:4, ლიტვინოვი (ჩეხეთი) — რუანი (საფრანგეთი) 4:2

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფრელუნდა | 4 | 1 | 1 | 23-10 | 9 |
| ლიტვინოვი | 3 | 2 | 1 | 24:19 | 8 |
| ლუკო | 2 | 1 | 3 | 23-28 | 5 |
| რუანი | 0 | 2 | 4 | 16-29 | 2 |

## იუბილე

# ჩოხის შემნახველნი

ძმები ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილები ამ 55 წლის წინათ დაადგნენ ქართული სპორტის, კერძოდ, ჭიდაობის სახეობების სამსახურის გზას და მას შემდეგ არაერთი სასახელო ფურცელი ჩაწერეს ჩვენი სპორტის მატიანეში. თავად კარგმა სპორტსმენებმა მწვრთნელობა გაიხადეს საქმედ და მოჭიდავეთა მთელი თაობები აღზარდეს. საკმარისია მათგან გამორჩეულები დავასახელოთ: ანზორ კიკნაძე, რამაზ ხარშილაძე, ჯემალ ნათელაშვილი, დურმიშხან ბერუაშვილი...

ძმები ნინიაშვილები საქართველოში ძიუდოს შემომტანები, დამფუძნებლები და პირველი მსაჯები არიან. მათვე ეკუთვნით ერთი უნიკალური, „რეკორდიც": საქართველოს ძიუდოში სამი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს, ამ ჩემპიონთა მწვრთნელები კი — გურამ პაპიტაშვილი, ჯემალ ნათელაშვილი და ომარ მერაბიშვილი სწორედ ნინიაშვილებმა აღზარდეს და აზიარეს მწვრთნელობის პროფესიას. ძმების შეგირდია აგრეთვე ბიძინა მაზიაშვილიც, თავად ქართული ძიუდოს ბერმუხა და არაერთი დიდი ძიუდოისტის დამკვალიანებელი.

შაბათს საქართველოს სამბოს ფედერაციის თაოსნობით, ქვეყნის სპორტულმა საზოგადოებამ საიუბილეო საღამო მოუწყო ღვაწმოსილ ძმებს. შეხვედრაზე მრავალჯერ აღნიშნეს ბატონების ქრისტეფორე და აკაკის დიდი დამსახურება ქართული ჭიდაობის წინაშე. იყო გახსენებები, კურიოზული ამბების მოგონება, იუმორი, სევდაც — ამ ქვეყნიდან წასული მეგობრების, მოსწავლეების და ახლობლების გამო.

იმ საიუბილეო საღამოს სულისკვეთებას ჩვენც ვუერთდებით და ქართული ჩოხიანი ჭიდაობების უანგარო და თავგამოდებულ მსახურებს დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ვუსურვებთ.

# უბინაო სპორტსმენებო, ემზადეთ სიდნეისთვის!

წელს თავისუფალი სტილის მოჭიდავემ ელდარ კურტანიძემ ძიუდოისტ სოსო ლიპარტელიანთან ერთად ატლანტაში ოლიმპიური ბრინჯაო მოიპოვა. ამით ბიჭებმა ერთგვარად გაგვამხნევეს, იმედით გამოგვახედეს და ატლანტაში წარუმატებლად მოასპარეზე ჩვენს სპორტსმენებს ერთგვარად ნამუსიც მოსწმინდეს. ელდარ კურტანიძემ წელს ევროპის ჩემპიონატიც მოიგო, ამას გარდა, კიდევ ხუთ საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზა და ხუთჯერვე პირველი იყო. მართლაც წარმატებული და იღბლიანი იყო 1996 წელი ელდარისთვის. მაგრამ ოლიმპიურ მედალს მაინც სხვა ეშხი აქვს და ჩვენი საუბარიც ატლანტის გახსენებით დავიწყეთ.

**— ელდარ, 4 თვე გავიდა ოლიმპიადიდან. ყველაფერი დალაგდა, ვნებებიც ჩაცხრა და, ალბათ, გააანალიზეთ ატლანტაში თქვენი მარცხისა თუ წარმატების მიზეზები. მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ თქვენი პირველი ოლიმპიადა.**

— ახალს ვერაფერს ვიტყვი. ოლიმპიადაზე, სულ მცირე, ფინალი უნდა მეჭიდავა — ასეთი იმედითა და განზრახვით გავემგზავრე ატლანტაში. სამწუხაროდ, მეორე წრეში ჩემთვის სრულიად უცნობ ვინმე კორეელ კიმ იკ ჰის შევხვდი. მანამდე ამ კაცის შესახებ არაფერი გამეგონა, მისი არსებობაც კი არ ვიცოდი. არ შევაფასე მეტოქე რიგიანად, ამიტომაც საკუთარ ილეთზე — ტრიალზე დამიჭირა და ამით მომიგო. ჭკუის სასწავლებლად კი გამომადგა ეს მარცხი, მაგრამ ოქროს მედალი დამაკარგვინა. კორეელი პირველ წრეში ისვენებდა და მისი ჭიდაობის ნახვა ვერ შევძელი. ცოტა მაინც რომ მცოდნოდა მის შესახებ, არაფრისდიდებით არ დავმარცხდებოდი. მეოთხე წრეში კიმ იკ ჰი სლოვაკ ლოჰინას ეჭიდავებოდა, ერთი სული მქონდა, მოეგო და III ადგილისთვის ბრძოლაში შემხვედროდა, მაშინ ვაჩვენებდი, ვინ არის ელდარ კურტანიძე, მაგრამ სლოვაკთან წააგო, შემდეგ მე მოვუგე ლოჰინას და III ადგილზე გავედი. რომ არა ის კურიოზული მარცხი, მაშინ ფინალში ირანელ ჰადემს შევხვდებოდი. იქ კი, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა.

**— რამდენადაც ვიცი, ირანელთანაც წაგებული გაქვთ.**

— მსოფლიოს ჩემპიონატზე წავაგე. ქულა ვერც ერთმა ავიღეთ, ვერაფერი მოვუხერხეთ ერთმანეთს და მსაჯებმა ოდნავ მეტი აქტიურობისთვის გამარჯვება ჰადემს მიანიჭეს.

**— ელდარ, სპორტს, მით უმეტეს, ჭიდაობას, აქვს რაღაც კანონზომიერება. იქნებ კიმ იკ ჰისთან თქვენი მარცხიც არ იყო შემთხვევითი?**

— კიმ იკ ჰისთან შეხვედრამდე მოვუგე ბულგარელ ბაევს, შემდეგ ამერიკელ დუგლასს, უკრაინელ ძამბოლათ თედეევს, ლოჰინას, ესენი თავის დროზე იყვნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, პრიზიორები, მოუგიათ არაერთი დიდი საერთაშორისო ტურნირი. ლოგიკური ის იქნებოდა, მათთვის კორეელიც მიმეყოლებინა. არა, ნაღდად შემთხვევით წავაგე. აი, ახლა, ხომ დაღლილი ვარ, ნავარჯიშევი, მომიყვანეთ ის კორეელი და თუ ქულა ავალებინო, კაცი არ ვიყო.

**— მე კორეელის ჩამომყვანი არა ვარ, ჭიდაობის იმტაზე ხართ მოსული და ვიდრე კორეელის ჯავრი ჩემზე არ გიყრიათ, საუბრის თემა შევცვალოთ. ოლიმპიადა მარტო ხალიჩა და მეტოქე არ არის. ზეიმია, დღესასწაულია, თქვენც იყავით მისი მონაწილე. სპორტსმენები იშვიათად იგონებთ სარბიელს მიღმა გატარებულ დღეებს. მოდით, ამჯერად დავარღვიოთ ტრადიცია...**

— ოლიმპიადა, მართლაც უჩვეულო დღესასწაულია. საბოლოოდ დავრწმუნდი — ამერიკა მართლა ოცნების ქვეყანაა, ატლანტა ჩემთვის ოცნების ქალაქია. წარმოიდგინეთ, პლანეტის საუკეთესო სპორტსმენები, გამოჩენილი მსახიობები, პოლიტიკოსები დაიარებიან შენს გარშემო, უღიმი, გიღიმიან, ესაუბრები, ეპატიჟები, გეპატიჟებიან, ხელითაც ეხები და არც გიკვირს. არადა, ვთქვათ, ორიოდე წლის წინ, რომ იტყვიან, ფუნიკულიორიდან მათ დანახვაზეც ვერ ვიოცნებებდი.

**— რომელიმე ცნობილი ადამიანი ხომ არ დაიმეგობრეთ?**

— ვახტანგ იაგორაშვილის წყალობით დავუახლოვდი დოლფ ლუნდგრენს — ივან დრაგოს როლის შემსრულებელს კინოფილმში „როკი". მონიკა სელეშთან ერთად ვთამაშობდი კომპიუტერს, ბილ კლინტონიც ხშირად მოდიოდა ოლიმპიურ სოფელში — ზომიერად გახეხილი ჯინსებით, სპორტული ფეხსაცმლით, კეპითა და ოლიმპიური სიმბოლიკიანი მაისურით შემოსილი კლინტონი უბრალო ამერიკელივით დაიარებოდა სოფელში. მოკლედ, ატლანტაში ყველაფერი უბრალო, უშუალო და ლამაზი იყო, ამასთან, ყველაფერი [illegible] რული და ძირადღირებული. ამ ორი უკიდურესობის შერწყმა ამერიკელებმა იდეალურად შეძლეს.

**— მაგრამ, ოლიმპიადას მაინც ჰქონდა ერთი ხინჯი. ოლიმპიურ პარკში მომხდარ ტერაქტს ვგულისხმობ.**

— ეგ იყო ერთადერთი შავი ლაქა ოლიმპიადისა. მაგრამ ჩემთვის, 1993 წლის სექტემბრის დღეებში აფხაზეთში ნამყოფი კაცისთვის, სწორად გამიგეთ, ის აფეთქება ახალწელს სალუტის გასროლაზე ეფექტური არ იყო. აი, ამერიკელები და ევროპელები, მშვიდობას მიცემული ხალხი კი შეშინდა, საბედნიეროდ, ყველაფერი მალე ჩადგა თავის კალაპოტში.

**— სოხუმი ახსენეთ. შეუძლებელია, ქაუბრო აფხაზეთიდან დევნილს და თავის კუთხეზე არაფერი ჰკითხო.**

— 1993 წლის 16 სექტემბერს კანადიდან ჩამოვფრინდი თბილისში, იმავე დღეს „ნოვოსტიმ" გამოაცხადა, სოხუმი იბომბებაო, არადა, ოჯახი იქ მყავდა, ბევრი არ მიფიქრია, ღამით გვარდიელებს დავემგზავრე და სოხუმში გავფრინდი. საშინელება დამხვდა, მოგონებაც კი მზარავს, 27 სექტემბერს დაეცა სოხუმი, მეორე დღეს ძლივს გამოვარიდე ოჯახი, მაგრამ მამაჩემი არ წამოვიდა, მშრომელი, ოჯახის მეურნე კაცმა არ მიატოვა თავისი ნაჯაფარი და დღემდე არც ჩანს, არც არაფერი ისმის მასზე. მაშინ გვეგონა, წავიდოდით და 2 თვეში უკან დავბრუნდებოდით. მამაჩემიც ასე ფიქრობდა, ამ იმედით დარჩა, მაგრამ ამაოდ.

**— ბარემ იმ ჯოჯოხეთ გამოვლილი შენი ოჯახის წევრებიც გავაცნოთ მკითხველს.**

— როგორც გითხარით, მამაჩემი ნოდარ კურტანიძე სად არის, სამი წელია არ ვიცი. მყავს დედა, ორი და, მეუღლე — ნანა დარჯანია და შვილები — 5 წლის ნათია და 2 წლის ნოდარი.

**— 24 წლისას უკვე 5 წლის გოგონა გყავთ?**

— ცოლი ადრე, 17 წლისამ შევირთე. მე და ნანა კლასელები ვართ, ბავშვობიდან გვიყვარდა ერთმანეთი, სკოლა დავამთავრეთ და მოვიტაცე.

**— თუ ერთმანეთი გიყვარდათ, როგორღა მოიტაცეთ?**

— აფხაზეთში ასეთი წესია — მოტაცებულ ქალს უფრო მეტ პატივს სცემენ. უყვარხარ, არ უყვარხარ, არა აქვს მნიშვნელობა, უნდა მოიტაცო. მეც ტრადიციას არ ვუღალატე.

**— ოჯახიდან ყველაზე მეტად ვინ გგულშემატკივრობთ?**

— ყველა ჩემი ქომაგია, მაგრამ ნათიასნაირი გულშემატკივარი არცერთი არ არის. როცა ვაგებ, ტირის ხოლმე. მამიკოს გოგოა და ვერ ეგუება, როცა მჩაგრავენ. მანამდე მამაჩემი იყო ჩემი ყველაზე დიდი ქომაგი.

**— პატარა ნოდარს თუ აქვს მოჭიდავის მონაცემები?**

— 2 წლის ბავშვს რა უნდა შეატყო? ისე, დიდი თავი კი აქვს, ჩაფსკვნილია, ღონიერი, 3–4 წლის ბავშვებს ერევა. მოკლედ, დებიუტი საიმედოა.

**— ჭიდაობაში როგორ მოხვდით?**

— 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადაზე ვახტანგ ბლაგიძემ გაიმარჯვა. რატომღაც, მამაჩემი გამორჩეულად ქომაგობდა ბლაგიძეს, მეც დამსვამდა ტელევიზორთან და მაცქერინებდა მის ჭიდაობას. ფინალსაც ერთად ვუყურეთ. მაშინ გამიჩნდა ბავშვური სურვილი, მოჭიდავე გამოვსულიყავი და ჩემს მეზობელ ზურა ქალდანს გავყევი საჭიდაო დარბაზში. მოკლედ, ვახტანგ ბლაგიძის ლამაზმა ჭიდაობამ და გამარჯვებამ მაქცია მოჭიდავედ.

**— ოჯახში როგორ შეხვდნენ არჩევანს?**

— სიმართლე გითხრათ, არც ხელი შეუშლიათ, არც რამით დამხმარებიან — მშვიდად უყურებდნენ ჩემს არჩევანს. მაგრამ, 1990 წელს მაშინდელი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი რომ გავხდი, უკვე ყველა მხურვალედ მქომაგობდა.

**— წელან ოჯახის წევრები ვახსენეთ. ღმერთმა გიმრავლოთ და გიჯანმრთელოთ ისინი, მაგრამ ამხელა ოჯახს რჩენა უნდა, ერთადერთი კაცი ოჯახში თქვენ ხართ, მარჩენალიც თქვენ იქნებით. გყოფნით ხელფასი?**

— ზაფხულიდან ნოემბრამდე ხელფასი არც მქონია, ახლახან „ეარ ჯორჯიამ" დამინიშნა თვეში 300 ლარი. ეს ის ფულია, რაც მარტო მე მჭირდება კვებისთვის.

**— ოჯახს რაღა?**

— საერთაშორისო ტურნირებზე მიღებულ პრემიებს ვიზოგავთ. როგორც რიგით ქართველს, მით უმეტეს, აფხაზეთიდან დევნილს, ნაღდად არ მიჭირს.

**— როგორც ევროპის ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორს?**

— ჩემი ტიტულების პატრონი სხვა ქვეყანაში, სულ მცირე, ათჯერ უკეთესად მაინც უნდა ცხოვრობდეს. ბოლოს და ბოლოს, ევროპის ჩემპიონები „მარშრუტკებითა" და ტროლეიბუსებით არ დადიან ვარჯიშზე.

**— მანქანა რატომ არ გყავთ?**

— ფული არა მაქვს, რომ ვიყიდო.

**— აბა, ოლიმპიადის შემდეგ 20000 დოლარი მისცესო...**

— სოსო ლიპარტელიანს მივბაძე და ბინა ვიყიდე ვერაზე. ისე, შეიძლება სოსოზე ადრეც ვიყიდე და იმან მომბაძა.

**— ფულს თუ იშოვი, რომელ მანქანას იყიდი?**

— „მერსედეს 230" მოდელი მომწონს ძალიან, მაგრამ კარგა ხანს ალბათ ვერ ვიყიდი. ჩემს ბინაზე ძვირი ღირს.

**— ისე მოხდა, რომ ქართველ სპორტსმენთაგან თქვენ ბოლო იყავით, ვინც ატლანტის ოლიმპიადაზე ასპარეზობდა. მახსოვს, თბილისში ხმები დაირხა, საქართველოს პრეზიდენტმა თქვა, ოღონდ კურტანიძემ ოქროს მედალი მოიგოს და მთელ საპრიზო ფონდს — ნახევარ მილიონ დოლარს მივცემო.**

— ამ ჭორმა ატლანტაშიც ჩამოაღწია, რა თქმა უნდა, თავიდანვე არ ვირწმუნე. ნახევარი მილიონი არ მაწყენდა, მაგრამ რაც მომდის, იმაზე ყაბულსა ვარ. სიმართლე გითხრათ, ფულის გულისთვის არ მიჭიდავია, სულ არაფერს რომ არ შეგვპირებოდნენ, ოლიმპიადა მაინც ოლიმპიადაა, მაინც ვიჭიდავებდი.

**— შინაურები როგორ შეხვდნენ მესამე ადგილს. გამარჯვებად აღიქვეს თუ მარცხად?**

— ატლანტიდან რომ ჩამოვედი, ყველა მილოცავდა, მაგრამ, ვგრძნობდი, რაღაცნაირად არაგულწრფელი იყო ეს მილოცვები, მასში სიხარულს თანაგრძნობა სჭარბობდა. ოლიმპიადამდე ყველას ჩემპიონად ვესახებოდი, ამიტომ არც გაემტყუნებათ.

**— მილოცვების გარდა ალბათ უამრავი საჩუქარიც იყო, არც პურ-მარილს მოგაკლებდნენ თქვენიანები.**

— ჩამოსვლის მეორე დღესვე ლაგოდეხში წავედი, თბილისში ვერ გავძელი, ლაგოდეხში სახლი მაქვს, ჩემი დაც იქ არის გათხოვილი. აი, კახელები კი მართლა თან გადამყვნენ. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და საქვეყნოდ მადლობა გადავუხადო ამ გულისხმიერ და გულღია ხალხს. საჩუქრებიც მივიღე, სხვათა შორის, თბილისის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა საათი მაჩუქა და მას შემდეგ ხელზე მიკეთია.

**— რაო, მერის საათმა, ჩვენი საუბრის დამთავრების დრო ხომ არ არისო?**

— არა, ჯერ მცალია და ვისაუბროთ.

**— მოჭიდავე რომ არ ყოფილიყავით, ვინ იქნებოდით?**

— ისევ მოჭიდავე ვიქნებოდი, სხვაგვარად ვერ წარმომიდგენია ცხოვრება.

**— მეტოქე თუ შეგცოდებიათ?**

— ოლიმპიადაზე ჩეხი ლოჰინა შემეცოდა ძალიან. წელან გითხარით, მესამე ადგილისთვის ვჭიდაობდით, იმ დღეს სპორტს გამოეთიშვიდობა — ჩვენი ორთაბრძოლა ბოლო იყო მისთვის, ძალიან უნდოდა, მედლით დაბრუნებულიყო სამშობლოში, მაგრამ მოვუგე.

**— ხომ არ უთხოვია, მომაგებინეო?**

— არა, ვაჟკაცია; მაგას როგორ იკადრებდა. ისე, ოლიმპიადა რომ არ ყოფილიყო, დავუთმობდი, ერთ ბრინჯაოს მედალს შეველეოდი, მაგრამ მისთვის თუ ბოლო ოლიმპიადა იყო, ჩემთვის პირველი იყო, თანაც ჩვენს დელეგაციას ძალიან უჭირდა, ყველა ჩემზე ამყარებდა იმედებს.

**— მოწინააღმდეგის ან მსაჯის გალახვის სურვილი თუ გაგჩენიათ ჭიდაობისას?**

— მე ძალიან აგრესიულად ვჭიდაობ და მგონია, რომ ჩემი მეტოქე ჭიდაობისას უკვე გალახულია, ახლა, ცხვირ-პირს ხომ არ დავამტვრევ? მსაჯებთანაც ყოველთვის კარგი ურთიერთობა მაქვს, ძალიან მიმნდობი ხასიათი მაქვს და მეჩვენება, რომ ყველა მსაჯი ობიექტურია, მეტიც, ზოგჯერ მე მიჭერს მხარს. რა თქმა უნდა, ზოგჯერ მჩაგრავენ კიდეც. ამ დროს კი იუგოსლაველი ბრანკო სიმიჩი მპატრონობს ხოლმე — არის ასეთი კაცი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაში. იქ დიდი გავლენა აქვს, დამიმეგობრდა და ყოველთვის ცდილობს, ჩემი ორთაბრძოლები ობიექტურად იმსაჯონ, ყველაფერს კი ის სჯობს, მეტოქეს შანსი არ დაუტოვო, პირწმინდად მოუგო და მაშინ არავის გალახვის სურვილი არ გაგიჩნდება.

**— რომელიმე მეტოქის თუ გეშინიათ?**

— რას [illegible] დები, დღეს და ღამეს ვარჯიშში ატარებ და ხალიჩაზე გასვლის წინ შეგეშინდეს? ეს ჩემთვის გაუგებარია. ჭიდაობა ჩემი ზეიმია და რაც უფრო ძლიერია მეტოქე, მით უფრო მეტია სტიმული და გამარჯვების წყურვილი, ჭიდაობაც ლამაზი და ეფექტური გამოდის, მეც კმაყოფილი გავდივარ ხალიჩიდან და გულშემატკივრებიც ნასიამოვნები რჩებიან. თუ მოწინააღმდეგის გეშინია, მაშინ სპორტსმენი არა ხარ.

**— მაინც ხშირად მსმენია მოჭიდავეებისგან, რომ მავანი უხერხული მეტოქეაო და მასთან შეხვედრას გაურბიან...**

— აი, უხერხული მეტოქე სხვაა. ასეთებს ვერ ვიტან. უნიჭო, არატექნიკურ მოჭიდავეს ნიჭიერი და ტექნიკური მირჩევნია, გამარჯვების შანსი მეტია და ჭიდაობაც ლამაზია. აბა, ისეთი ჩემს მტერს, ტექნიკის ნატამალი რომ არა აქვს, არ რისკავს, არც ახლოს გიკარებს და უნდა ელოდო, სანამ თვითონ არ წაიქცევა.

**— ბოლო დროს ბევრმა ქართველმა სპორტსმენმა მიატოვა საქართველო და უცხო ქვეყნის სახელით ასპარეზობს. რას იტყვით მათზე?**

— ქართველს, მით უმეტეს, სპორტულ ჟინმოჭარბებულს, ყველგან და ყოველთვის პირველობა უნდა. ბიჭებმაც რა ქნან — სხვაზე ნაკლები ნიჭი არა აქვთ, არც სხვაზე ნაკლებს შრომობენ, მაგრამ სტაბილურობას ვერ აღწევენ, იმიტომ, რომ ნორმალურად მომზადების მუდმივი პირობები არა აქვთ. ანაზღაურებაც სიმბოლურია, ან საერთოდ არ არის. რა ექნათ, აღგნენ და გაექცნენ ცივ დარბაზებსა და სიდუხჭირეს.

**— ისე ლაპარაკობთ, თითქოს თქვენც უცხოეთისკენ გეჭიროთ თვალი.**

— ჯერჯერობით არსად გავრბივარ, რაც ღმერთმა მიბოძა, იმითაც კმაყოფილი ვარ და მცირედს ვჯერდები.

**— ღმერთი ახსენეთ. მორწმუნე ხართ?**

— ღმერთი მწამს, დიდება მას! რამდენადაც შემიძლია, ვასრულებ რელიგიურ რიტუალებს, ოღონდ ეს არის, ვერ ვმარხულობ, სპორტული რეჟიმი არ მაძლევს ამის საშუალებას.

**— მორწმუნე სპორტსმენს ყოველთვის — რაღაც თილისმა აქვს. თქვენ?**

— ჩემი ერთადერთი თილისმა ქრისტიანული ჯვარია, რომელიც ყოველთვის გულზე მკიდია. სარბიელზე გასვლის წინ ჩუმად, არადემონსტრაციულად გადავისახავ ხოლმე პირჯვარს. აი, ესაა ჩემი თილისმა.

**— ხშირად რისკავთ სპორტში და ცხოვრებაში?**

— სპორტი სულაც რისკი არ არის? ცხოვრებაშიც, ზოგჯერ, საჭიროა და უნდა გარისკო. ყველაზე მეტად მაშინ გავრისკე, როცა სოხუმის დაცემამდე არ გამოვიყვანე ოჯახი.

**— მოდით, წლევანდელი წელიც შევაჯამოთ.**

— ახალ წელს, ეტყობა, ფეხბედნიერი მეკვლე მეწვია, რაც მთავარია, ოლიმპიადიდან უმედლოდ არ ჩამოვსულვარ, ევროპის ჩემპიონატი მოვიგე, ხუთ საერთაშორისო ტურნირში გავიმარჯვე, ოლიმპიადის გარდა, ყველა ასპარეზობიდან ოქროს მედლით დავბრუნდი. შეიძლება ითქვას, ეს წელი ჩემი წელი იყო.

**— მომავალი?**

— 1997 წელსაც არაერთ დიდ შეჯიბრებაზე გამოვალ. ვნახოთ, ღმერთმა ქნას, უკეთესი იყოს. ოლიმპიადაზე კი გავაწბილე ჩემი ქომაგები და შევეცდები, მომავალი წლის გამარჯვებებით მოვუბოდიშო.

**— და ბოლოს, რას ეტყვით გულშემატკივრებს?**

— რა უნდა ვუთხრა, რაც ვთქვი, განა ყველაფერი ჩემს ქომაგთა გასაგონად არ ითქვა? იცოდნენ, თავს არ დავზოგავ და მაინც გავხდები ოლიმპიური ჩემპიონი. ალბათ, ეს იყო ჩემი ბედისწერა — ატლანტაში მესამე უნდა ვყოფილიყავი. აი, სიდნეიდან უთუოდ ოქროს ჩამოვიტან. დღედაღამ ერთს ვევედრები ღმერთს: მალე იმ კორეელს შემახვედროს, ჩემი და ჩემი ქომაგების ჯავრი რომ ვიყარო.

– ელდარმა საათზე დაიხედა, თბილისის მერის ნაჩუქარი საათი ოთხს უჩვენებდა. ელდარი ნავარჯიშევია, დაღლილი და რა დასამალია შინ ეჩქარება, დაისვენებს და თავის სანუკვარ ქალ-ვაჟს ზღაპრებს მოუყვება. ეს საქმეც ჰყვარებია სახელოვან ფალავანს. მეც მივაცილებ „მარშრუტკის" გაჩერებამდე, დავემშვიდობები და ვეტყვი: გაისადაც ფეხბედნიერ მეკვლეს გისურვებთ, ელდარ და ვინძლო, მალე ამოხვიდეთ იმ კორეელის ოხტაში.

**ლევან ჯაგახიშვილი**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ატლანტაში მიმავალი კურტანიძე პატრიარქმა ბიბლიით დაასაჩუქრა



ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა ელდარ კურტანიძემ ატლანტაში, „ქართულ სახლში" ავტოგრაფები უხვად დაარიგა

# თხილამურები



## ბუნება მბრძანებელია

ამინდის ჭირვეულობამ ლამისაა ჩაშალოს მსოფლიო თასი, მეტადრე კი — ვაჟებისა. დეკემბრის პირველ უქმეებზე მონაწილენი ტყუილად შეგროვდნენ ვისლერ-მაუნთინში (კანადა), წინა უქმეებზე კი ვალდიზერშიც (საფრანგეთი) საკმაოდ გაწვალდნენ. ხუთშაბათს რომ მოესწრო ქალთა სუპერ-გიგანტი, რომელიც გერმანელმა გერგმა მოიგო, მერე დიდი თოვლი მოვიდა, რის გამოც პარასკევისთვის დანიშნული ქალთა გიგანტური სლალომი 17 იანვრისთვის გადაიდო. იგი გაიმართება ცვიზელში (გერმანია), სადაც სლალომი და გიგანტური სლალომი ისედაცაა დანიშნული.

შაბათს ვაჟები უნდა დაშვებულიყვნენ, მაგრამ ნისლი ჩამოწვა. ასპარეზობა 17 კაცმა მოასწრო. საუკეთესო შედეგი ავსტრიელ იოზეფ შტრობლს ჰქონდა.

შეჯიბრი კვირას გაიმართა, რის გამოც საკვირაო სუპერ-გიგანტი გუშინ გაიმართებოდა. გადასარევად დაეშვნენ ავსტრიელები და ისტორიაში მეათედ დაიკავეს პირველი ოთხი ადგილი. ამ მაჩვენებლით მათ ბადალი არა ჰყოლიათ.

შედეგთა ლიანგი შაბათისას 5 წამით ჯობდა. მსოფლიოსა და ალბერვილის ოლიმპიადის ჩემპიონი პატრიკ ორთლიბი და ვერნერ ფრანცი მოწინავეთა კომპანიაში დაეშვნენ. ფრანცმა თანაგუნდელს 0,09 წამით აჯობა, მაგრამ მერე სასწაული მოხდა: ყოვლად უცნობმა ფრიც შტრობლმა, ვისი საუკეთესო შედეგიც სუპერ-გიგანტში ერთხელ დაკავებული მე-16 ადგილი იყო და დისტანციასაც 43-ე დაადგა, ფრანცის შედეგი 0,02 წამით გააუმჯობესა. ფრიცი იოზეფს ნათესავად არ ერგება. იოზეფმა გამარჯვებულთან 0,20 წამი წააგო და ავსტრიული კვარტეტი გაასრულა.

ეს კვირა ფრიად დატვირთული იქნება. დღეს მადონა-დიკამპილიოში (იტალია) სლალომია, რომელშიც მასპინძელი ალბერტო ტომბაც ჩაებმება. იგი ოქტომბერში ვარჯიშზე დაიმტვრა, მაგრამ ახლა უკვე სამი კვირაა, რაც ვარჯიშობს.

მსოფლიო თასი (6 ეტაპის შემდეგ): ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) 231 ქულა; მიხაელ ფონგრენიგენი (შვეიცარია) 207; ჰანს კნაუსი (ავსტრია) 197; თომას სიკორა (ავსტრია) 182; ფრედრიკ ნიბერგი (შვედეთი) 168; ურს კელინი (შვეიცარია) 165; იოზეფ შტრობლი (ავსტრია) 164; თომ სტიანსენი (ნორვეგია) 159; სტივ ლოხერი (შვეიცარია) 155; კრისტიან მაიერი (ავსტრია) და თომას შტანგასინგერი (ავსტრია) 140; იურე კოშირი (სლოვაკეთი) 132; ფრიც შტრობლი (ავსტრია) 100; პატრიკ პოლცერი (იტალია) 97

ერთა თასი: ავსტრია 2432 ქულა; გერმანია 1408; იტალია 1090; შვეიცარია 1070; საფრანგეთი 1031

# რაგბი

## ესაა ბრიტანული რაგბი?

სეზონის ბოლოსაც ვერ ივარგეს რაგბის მომგონმა ბრიტანელებმა: შოტლანდიამ ძლივს მოუგო იტალიას, ინგლისმა კინაღამ წააგო არგენტინასთან, უელსმა კი, რა თქმა უნდა, ვერაფერი დააკლო მსოფლიო ჩემპიონ სამხრეთ აფრიკას.

### ლელო მიითვისა

14. XII. თვიქნემი. 52 ათასი მოსეირე

**ინგლისი 20:18 არგენტინა**

ინგლისი: ბილი; სლაითპომი, ქარლინგი, გასქოთი, თ. ანდერვუდი; ქეთი, გომერსოლი; რაუნთრი, რიგანი, ლენარდი (კაპ); ჯონსონი, შოუ; როდბერი, დალალიო, შიზბი (ქლარქი 56). — ლ: ლენარდი; 5ს: ქეთი

არგენტინა: ხურადო; კამარდონი, სიმონე, არბისუ (კაპ), ალბანეზე; კვეზადა, ფერნანდეს-მირანდა; გრაუ, პრომანსიო, რეხიარდო; სპორლედერი, იანესი; მარტინი, კამერლინქსი, ბუზა. — 6ს: კვეზადა

„პუმებმა" ახლებურად ითამაშეს: თუ აქამდე ოდენ შერკინებისა და მგორავი მოლების იმედად იყვნენ, ახლა ბურთაობაც დაიწყეს. ეს, ნაკრების მწვრთნელ ხოსე ლუის იმჰოფის აზრით, ტექნიკურ დირექტორად მიწვეული ალექს „გრიზ" კაილის დამსახურებაა. ეს კაცი ხომ ცნობილი ზელანდიელი მორკინალი და 1988-91 წლებში „ოლ ბლექსის" მენეჯერი იყო.

ინგლისის მწვრთნელ ჯექ რაუელს განზრახული ჰქონდა ახალი, ეშხიანი რაგბის დემონსტრაცია, მაგრამ მედიამ კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა. თანაგუნდელები არც დაშავებულ კაპიტან ფილ დეგლენვილს შეუქია, რომელმაც აღიარა, პირველ ტაიმში ჩვენებს ბურთი იშვიათად ჰქონდათ და, აბა, რა უნდა ექნათ, მეორეში კი თუმც უკვე დაიწყეს მისი მოპოვება, თამაშს უწყვეტობა ძალიან აკლდაო.

მატჩში ერთადერთი ლელო გავიდა, ისიც სულ ბოლოს. მანამდე თუმც კარგი თამაში მიმდინარეობდა, გოლები მხოლოდ დამრტყმელებს გაქონდათ. ინგლისელმა მაიკ ქეთმა სხვა ვერაფერში ივარგა და ხუთი ერის პირველობაზე ალბათ აღარც დააყენებენ, მისმა ნორჩმა მეტოქე გონსალო კვეზადამ კი შვიდი ცდით ექვსი გოლი გაიტანა.

ბოლო მეოთხედი რომ დაიწყო, მასპინძლები 12:18 აგებდნენ. მწიფდებოდა წლის უდიდესი სენსაცია. ინგლისელთა მულატი შუამარბი ჯერი გასქოთის ლელო მსაჯს იმის გამო გაეუქმებინა, რომ მეორეხაზელ მარტინ ჯონსონს მისი გატანის პროცესში მუშტი-კრივი გაემართა.

„პუმების" შერკინებას თუმც აკლდნენ პირველხაზელები — ავსტრალიაში გადახვეწილი პატრისიო ნორიეგა და ინგლისში გადასული ფედერიკო მენდესი, სტუმრები ბოლომდე მაგრად იდგნენ. ნავსი 74-ე წუთზელა გატყდა, როცა ინგლისმა ძალით შეიტანა ბურთი მეტოქის ლელოში. თავიდან იგი კვაჭ მარკ რეგანს ჩაუთვალეს, მაგრამ დეგლენვილის შემცვლელმა კაპიტანმა ჯეისონ ლენარდმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, იმ ზედახორაში ბურთი მე დავამიწეო.

ლენარდმა ამგვარად მოიხვეჭა 51-ე კაპი, გუნდს პირველად უკაპიტნა და პირველი ლელოც მიითვალა, სტუმრებმა კი ბოლოს სალელოე იერიშები რომ განახორციელეს, ჯონსონმა ალბენეზე ისე დასცა, რომ უეჭველად გასაგდები იყო.



იუსტ ფანდერვესტჰოიზენმა უელსს სამი ლელოთი გული მოუკლა

### პატივი დასდეს

14. XII. მარიფილდი

**შოტლანდია 29:22 იტალია**

შოტლანდია: შეპარდი (სთარქი); სთეინჯერი, ს. ჰეისთინგსი, თაუნზენდი (კაპ), ლოგანი; ჩალმერსი, რედფასი; პილთონი, მაკქენზი, სთიაურთი; ქრონინი (ვიარი), რიდი; ვოლისი, სმითი, პიტერსი. — 4ლ: სთეინჯერი, ლოგანი 2, სთარქი; 3გ: ჩალმერსი; ს: შეპარდი

იტალია: პერტილე; მაცუკატო, ვაკარი, ფრანჩესკატო, მარჩ. კუტიტა; დომინგესი, ტრონკონი; მას. კუტიტა, ორლანდი, კასტელანი; კრისტოფოლეტო, კროჩი; ჯოვანელი (კაპ), ზგორლონი, არანჩო. — ლ: საჯარიმო; გ. 4ს და ა: დომინგესი

იტალიელებს ხუთი ერის პირველობის ექვსისად ქცევა სურთ. როგორც მათმა მენეჯერმა ფრანჩესკო ჩიმინომ ბრძანა, ამით თუ ავიმაღლებთ თამაშის დონეს, თორემ ჩვენი საშინაო ჩემპიონატი ვერაფერი ასპარეზიაო.

წელს, იანვარში, რიეტში იტალიამ 29:17 დაამარცხა შოტლანდიის „ა" ნაკრები, რომელსაც ეს ინდექსი ოდენ შესანიღბად ჰქონდა მიმატებული. ამჯერად სქოთებს დიდი პატივი ლაედოთ „ცისფრებისათვის" და მათთან თამაშისთვის ტესტის სტატუსი მიენიჭებინათ.

იტალიამ არგენტინის ბადალი ვერა, მაგრამ მაინც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ექს-არგენტიენლი დიეგო დომინგესის დარტყმებით სტუმრებმა პირველი ნახევარი 12:8 მოიგეს, მაგრამ მასპინძლების უპირატესმა კლასმა მაინც თავისი გაიტანა. რაც უნდა იყოს, „ნარშავებმა" ოთხი მშვენიერი ლელო გაიტანეს.

შოტლანდია პირველად 42-ე წუთზე დაწინაურდა, როცა შუამარბების წამოწყებული იერიში მეორეხაზელებმა (!) გააგრძელეს და გარემარბმა ლოგანმა კარსუკან გაიტანა ლელო. ლოგანის მეორე ლელოს მერე მასპინძლები უკვე 10 ქულას იგებნენ, მაგრამ იტალიამ კიდევ გააყაიმა ანგარიში 22:22 — დომინგესმა სქოთებს გადაცემა რომ ჩაუჭრა, მერე მასპინძლები თავის ლელოსთან ზედიზედ ოთხჯერ განზრახ დაჯარიმდნენ და ფრანგმა მსაჯმა დანიელ ჟიიემ ისინი საჯარიმო ლელოთი დასაჯა.

გადამწყვეტი 69-ე წუთი გამოდგა: ბებერმა ჰეისთინგსმა იტალიელების შეტევა ჩაშალა და ბურთი ფეხით წინ გააგორა, იქ კი მას ჩალმერსმა, რედფასმა და სთარქმა მიუსწრეს.

### გუნდი შეიკრა!

კვირა, 15. XII. კარდიფი

**უელსი 20:37 სამხ.აფრიკა**

უელსი: ნ. ჯენქინსი; ი. ევანსი, გიბსი, ბეითმენი, ჯეიმზი; ა. თომასი, პაული; ლოუდერი, ჯ. ჰამფრიზი (კაპ), იანგი; პლუელინი, რაული; მაკინტოში (ნ. თომასი 67), ჩარვისი, ვილიამსი. — ლ: ა. თომასი; 5ს: ჯენქინსი

აფრიკა: ჟუბერი; სმოლი, მულდერი, ლერუ, ოლიფიე (სნაიმანი 75); ჰონიბალი, ფანდერვესტჰოიზენი; თერონი (ფანდერლინდე 20), დოლტონი, გარვი; ვიზე, ენდრიუზი (სტრაიდომი 42); კრუგერი, ფენტერი, ტაიხმანი (კაპ). — 5ლ: ფანდერვესტჰოიზენი 3, ჟუბერი, ოლიფიე; 3გ: ჰონიბალი 2, ჟუბერი; 2ს: ჰონიბალი

უელსი 1906 წლიდან მეათედ ეთამაშა სამხრეთ აფრიკას და მეცხრედ დამარცხდა, მაგრამ კარგი თამაშით თურმე კმაყოფილი უნდა იყოს, მით უფრო, თუ თამაშის წინა დღით გრიპი შეეყარა 34 წლის ჯონათან დევისს და გუნდი ექს-ლიგელი ვარსკვლავის გარეშე დარჩა.

„ქურციკები" წელს მე-13 ტესტს თამაშობდნენ. მათი მწვრთნელი ანდრე მარკჰრააფი ჩიოდა, ნაკრების მოთამაშეებს სეზონში უკვე 40-ზე მეტი მატჩი აქვთ ნათამაშევი, რაც მეტისმეტიაო. კაპიტანმა გარი ტაიხმანმა კი ბრძანა, წელს ზელანდიელებისგან შევითვისეთ, რომ საერთაშორისო რაგბში ის იმარჯვებს, ვინც ბურთს არა კარგავსო.

სტუმრებმა მატჩის წინა კვირა ცურვასა და გოლფის თამაშს მოანდომეს, რაგბში კი ძალიან გაილაღეს და საწყისი საათი უსიტყვოდ მოიგეს. 25 წლის 9 ნომერმა იუსტ ფანდერვესტჰოიზენმა სამი ლელო გაიტანა. ამით მისი კარიერის მონაგარი 26 კეპი და 12 ლელო გახდა.

მე-10 წუთზე რუბენ კრუგერმა 60-მეტრიანი რეიდი განახორციელა, რაც იუსტის პირველი ლელოთი დასრულდა. მერე იმავე კრუგერის, ტაიხმანისა და ჰენრი ჰონიბალის შემწეობით ლელო ანდრე ჟუბერმა გაიტანა, ფანდერვესტჰოიზენი კი ზედ შესვენების წინ და მის შემდეგ ახლოდან კიდევ ორჯერ შეიჭრა ლელოში, 54-ე წუთზე კი იუსტმა პირადად გაუხერხა ლელო ჟაკ ოლიფიეს.

„ქურციკებმა" ზედიზედ მეხუთე თამაში გამართეს ერთი და იმავე შემადგენლობით და ზედიზედ მეექვსედ გაიმარჯვეს. მარკჰრააფმა ბოლოსდაბოლოს დააყენა ისეთი გუნდი, გაისად „ბრიტანელ ლომებს" ღირსეულად რომ უმასპინძლებს და სამეულის სერიალში ახალ ზელანდიასა და ავსტრალიას ტოლს არაფერში დაუდებს.

**რეზო ნემსაძე**

## სეზონი ალბათ დღეს დასრულდება

საქართველოს XXIX ჩემპიონატის ფინალურ ოთხეულს ორი გუნდიღა შემორჩა, რის გამოც ბოლო, მეექვსე წრეში ექვსის ნაცვლად ერთი თამაშიღა გაიმართება.

ქუთაისის „აია" უსახსრობის გამო თბილისს ვერ ჩამოდის, „გუმარისა" და ნაკრების ერთ ცნობილ მოთამაშეს კი ისეთი საყოფაცხოვრებო ტრაგედია გადახდა თავს, რომ მის თანაგუნდელებს სარაგბოდ აღარა სცხელათ, მით უფრო, რომ ვადამდე გამხდარან 1996 წლის ჩემპიონები.

კვირას ამ მიზეზით არ გამართულა „ქორები" — „გუმარის" მატჩი. „გუმარს" წაგება მიესაჯა და ერთი ქულაც დაექვითა. ჩემპიონები ალბათ არც „ყოჩებს" ეთამაშებიან, „ქორები" კი ალბათ არ წავლენ ქუთაისს. ერთი სიტყვით, დღეს, 17 დეკემბერს, ვაკეში სეზონის უეჭველად ბოლო მატჩი გაიმართება:

დღის 3 საათზე შეიბმებიან „ყოჩები" და „ქორები". „ყოჩებს" მეორე ადგილი აქვთ განაღდებული, „ქორებს" — მესამე, მაგრამ პირად შეხვედრებში „ქორები" 3-2 არიან წინ.

# ჰოკეი

## თასი დაიბრუნეს

ჩენაიში (ყოფილ მადრასში, ინდოეთი) კვირას ჩამთავრდა მსოფლიოს ექვსი უკეთესი გუნდის ყოველწლიური შეხვედრის — ჩემპიონთა თასის მორიგი XVIII გათამაშება. გაიმარჯვეს როლანტ ოლტმანსის შეგირდებმა — ჰოლანდიელმა ბალახის ჰოკეისტმა ვაჟებმა, ატლანტაში ოლიმპიური ჩემპიონებიც რომ გახდნენ.

**ფინალი. ჰოლანდია — პაკისტანი 3:2.** ხუთივე გოლი სტანდარტული პოზიციიდან გავიდა. ჰოლანდიელებმა — თეუნ დენუიერმა (მე-8 წუთზე) და ბრამ ლომასმა (20) საჯარიმო კუთხურის შემდეგ იხეირეს, ვუტერ ფანპელტმა კი პენალტი შეაგდო (13). აზიელთა ორივე გოლი საჯარიმო კუთხურიდან გავიდა. ისინი რაჰიმ ხანმა (25) და უსმან მოჰამედმა (27) გაიტანეს.

ფინალს აშკარად აკლდა სიმწვავე და ხიბლი, რაკი პაკისტანს წრიული ტურნირის ბოლო დღეს გაეგდო მასპინძლები. ჰოლანდია თავიდან ერთობ შეხმატკბილებული თამაშობდა, მაგრამ საგრძნობლად დაწინაურებულმა უცბათ ორი გოლი რომ გაუშვა, მეორე ტაიმი ტაქტიკურად ჭკვიანურად წარმართა და თამაში მშვიდობიანად მიიყვანა გამარჯვებამდე. ჰოლანდიას თასი წინა ჯერზე 1982 წელს ეპყრა, როცა შინ, ამსტერდამში გაიმარჯვა.

**III ადგილისათვის. გერმანია — ინდოეთი 5:0. V ადგილისათვის: ესპანეთი — ავსტრალია 5:2.** ავსტრალიამ თუმც ბოლო ადგილი დაიკავა, გაისად მაინც ითამაშებს, რაკი თასს ადელაიდაში უმასპინძლებს. აი, ინდოეთი კი გავარდა და ადგილს აზიის ახალ ჩემპიონ კორეას დაუთმობს. გარდა ამისა მოელიან, რომ ინდოეთის ვეტერანი კაპიტანი პარგატ სინგჰი (313 კეპი) თამაშს თავს მიანებებს.

**მიხო ნინუა**

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

## სამართალმა პური ჭამა

შაბათს, 30 წლის დაგვიანებით, მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი გადასცეს ფრანგ მოთხილამურე ქალ მარიელ გუაჩელს, ვინაც უმისოდაც 8-გზის ჩემპიონი ყოფილა.

1966 წლის მსოფლიო პირველობა პორტილოში (ჩილე) გამართულა. იქ მთიდან დაშვება მოუგია ავსტრიელ ერიკა შინეგერს, რომელიც მერე კაცი გამომდგარა, ივის ოპერაცია გაუკეთებია და ახლა მამაც ყოფილა.

გუაჩელს მეორე ადგილი დაუჭერია და რაკი ფაქტობრივად კაცთან წაუგია, რვა წლის წინ ჩემპიონად გამოაცხადეს, მედალი კი ახლაღა, 51 წლისას გადასცეს.

# კრივი

## კაცი რომ ბრიყვად დაიბადები ...



პოლონეთის ახლანდელ თავკაც ალექსანდრ კვაშნიევსკის, თავის დროზე ქვეყნის სპორტის მინისტრი რომ ყოფილა, ექს-ვარშაველ, აწ კი ჩიკაგოელ მძიმეწონოსან მოკრივე ენდრიუ (ანჯეი) გოლოტაზე უთქვამს, არა უშავს ბიჭია, მაგრამ მაგარი ტუტუცი ვინმე კიაო.

პოლიტიკოსის ამ შეფასების სიმართლე ამ შაბათსაც დადასტურდა. 11 ივლისს, ნიუ-იორკის „მედისონ სქვეარ გარდენში" გოლოტა არა-საჩემპიონოდ რომ შეერკინა ზანგ ექს-ჩემპიონ რიდიკ ბოუს, აშკარად აჯობა, მაგრამ მე-7 რაუნდში სარტყელს ქვემოთ დარტყმებისათვის დისკვალიფიკაცია მისცეს, რასაც მერე რინგის გარშემო დიდი აურზაური და ჩხუბი მოყვა — 22 კაცი დაშავდა, 16 კი დააპატიმრეს.



გოლოტამ ბოუს კი ურტყა, მაგრამ მერე რა?!



ბოუს ასულიერებს მენეჯერი ნიუმენი

როიტერს-ის ფოტოები

გონიერი იმ ამბიდან ჭკუას ისწავლიდა, მაგრამ გოლოტას, როგორც ჩანს, იგი აშკარად აკლია: შაბათს, აწ უკვე ატლანტიკსითის „სეზარზში" ისევ რომ ერკინა ივლისის დროინდელზე 20 კილოგრამით მსუბუქსა და ბევრად უკეთ მზა ბოუს, კვლავ დისკვალიფიკაციით წააგო, ოღონდაც მე-9 რაუნდის ბოლოს. ერთი ეგ იყო, რომ კრივი რინგზე დამთავრდა და მოსეირეებს არ გადასდებია.

ერთი მსაჯის თვლით გოლოტა რვა რაუნდის შემდეგ 75-71 იგებდა, მეორის აზრით — 75-73, მესამის თანახმად 74-72. ბოუ ორჯერ იყო ნოკდაუნში — მე-2 და მე-5 რაუნდებში, გოლოტა — ერთხელ, მე-4-ში. გოლოტას მარცხენა წარბი გაუსკდა, ბრძოლის შემდეგ კი გატეხილი ყბის გასასინჯად ჰასპიტალში მიაბრძანეს.

გოლოტას მე-2 რაუნდში ქულა ქვენა დარტყმისთვის დაუქვითეს, მე-4 რაუნდში — თავის ძგერებისათვის. თავისი რომ არ დაიშალა და ბოუს კიდევ უთავაზა უადგილო ადგილას, რეფერი ედი ქოთონი გაბრაზდა და პოლონელს წაგება მიუსაჯა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29